# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№164 (9995) 2025 წლის 12 დეკემბერი, პარასკევი


## ტვინების გამორეცხვა გრძელდება




იხ. 4 გვ.

## დიპლომატიური სკანდალი თბილისსა და ლონდონს შორის




### „დიფ სთეითის“ გავლენა და ანტიქართული დეზინფორმაცია




8

## საქართველო კრემლის გეგმას უარყოფს!



12

### ავთანდილ მახარაძე „საპატიო პრომეთეს“ მფლობელია!

## ილონ მასკის „ომი“ ბრიუსელთან და ვაშინგტონის ახალი დოქტრინა



იხ. 6 გვ.

ბრიუსელის კორუმპირებული ელიტა: „კატარგეიტის“ ახალი მოსმენები ევროპარლამენტის სისტემურ ლპობას ამხელს

## ნატომ, როგორც „ცივი ომის“ გადმონაშთმა, ფუნქცია დაკარგა!



იხ. 5 გვ.

### 2019 წლის 20–21 ივნისის აქციის საქმეებზე სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ გადაწყვეტილება გამოიტანა

9

### სენსაციური ინფორმაცია შუახევიდან!

## პოლიციის ბოროტი უფროსი დაიჭირეს!



**საქართველოს ე.წ. „მეგობრებმა", სინამდვილეში კი მტრებმა, ფსონები აწიეს. პატარა ქვეყნის წინააღმდეგ ისინი ერთდროულად აწარმოებენ, როგორც დიფუზურ, ასევე სადაზვერვო ომს, რომლის მიზანია იმ სახის უმართავი პროცესების შექმნა, რომლითაც მარტივად შესაძლებელია ახალი ომი სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში. სწორედ ამას ემსახურება „ბიბისის" მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, რომელიც ყოველგვარი ფაქტობრივი მტკიცებულების გარეშე ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, თითქოსდა, მშვიდობიანი მოქალაქეების დასაშლელად გამოიყენა ქიმიური იარაღი, რომელიც მათივე მტკიცებით, თურმე, წყალში არ იხსნება. რა დგას ამ ბრალდების უკან და ვინ არის სამიზნე?**

ამ საკითხებთან დაკავშირებით, for.ge თეატრის მხატვარს **შოთა გლურჯიძეს** ესაუბრა.





### შოთა გლურჯიძე:

# საქართველოს პრემიერი ზედმიწევნით არ ასრულებს იმათ დავალებებს, ამდენად, მასზე მუქარაც შეიძლება განხორციელდეს!!!



**ჯანმრთელობას ვუსურვებ ჩვენს პრემიერ-მინისტრს, მაგრამ ჩემი აზრით, ეს მუქარა არის სახიფათო. აქ არის მეორე საკითხი, რატომ ვამბობ მკვლელობაზე – პირდაპირ სამხედრო გადატრიალება ცოტა რთული მეჩვენება საქართველოში. იმის გამო, რომ ეს მაშინვე ხელს გაუხსნის რუსეთს, მოახდინოს საქართველოს სრული ანექსია, რომელსაც საქართველოში საკმაოდ ძლიერი ორი ბაზა აქვს და პლუს გიუმრის სამხედრო ბაზა.**

**– საქართველოს ხელისუფლებას ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი ადანაშაულებს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ქიმიური ნივთიერების გამოყენებაში. მერე რა, რომ მტკიცებულება არ არის, მერე რა, რომ არცერთი მოწამლული ადამიანი არ არსებობს, გარდა თუთიყუშისა, რომელსაც გასცვივდა ბუმბული. მერე რა, რომ არ არსებობს კლინიკაში მიმართვის ფაქტი, თუნდაც აქციის დაშლის ღამეს, ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს ბრალდება ქიმიური მომწამლავი ნივთიერების გამოყენება. რეალურად, რა დგას ამ ბრალდების უკან?**

**შოთა გლურჯიძე:** თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი რამ არ მომხდარა. სამხედრო ქიმიური იარაღის გამოყენება მეორე მსოფლიო ომშიც აღარ ხდებოდა. თუმცა, ზოგიერთ ქვეყნებს აბრალებდნენ და მერე გაირკვა, რომ ტყუილი იყო. ის ცნობილი სინჯარა, რომელიც ამერიკის სახელმწიფო მდივანს ეჭირა ხელში გაეროს სხდომაზე, მერე თქვა, შეგვეშალაო.

აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, როდესაც ასეთი მძლავრი მედია-საშუალება, რომელსაც ბიუჯეტი საქართველოს ბიუჯეტზე რამდენჯერმე მეტი აქვს, როდესაც ამას აკეთებს, ნიშნავს, რომ ეს დაკვეთა არ მოხარშულა ვიღაც ჟურნალისტის თავში. ამას უფრო სერიოზული დავალების სახე აქვს. ამით ხდება საზოგადოებრივი აზრის მომზადება და დემონიზაცია იმ ხელისუფლების, რომელმაც თითქოსდა ეს გამოიყენა. თუ ეს გამოიყენა ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, მაშინ ყველაფრის ღირსია და ის არ უნდა იყოს გაეროს წევრი და ა.შ. რეალურად, ეს ძალიან დიდი ბრალდებაა.

**– თუმცა, რამდენად მოახერხებს ხელისუფლება დაამტკიცოს, რომ ეს ბრალდება არის ტყუილი?**

– ეს ცალკე საკითხია. კიდეც რომ დაამტკიცოს, ვიდრე გაგრძელდება გამოძიება, იქამდე ამ ინფორმაციას აქვს საშუალება, მოედოს მთელ მსოფლიოს. სენსაციური ამბავია, ძალიან იშვიათად გაგვიგია. **სადამ ჰუსეინზე** გავიგეთ, **მუამარ კადაფს** აბრალებდნენ და **ბაშარ ალ-ასადიც** ასე დემონიზირდა. ბევრი ასეთი შემთხვევაა და მთავრდებოდა ადამიანების მკვლელობით. მერე ბოდიში მოიხადეს, მაგრამ ამან არ უშველა იმ ადამიანებს, ვინც ჩამოახრჩვეს. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ დიდი შეტევა იქნება საქართველოზე. შავი ნიშანია, ანუ ნადირობა გამოცხადებულია.

**– ვის წინააღმდეგ არის გამოცხადებული ნადირობა? თქვენ აღნიშნეთ, რომ უნდათ საზოგადოებრივი აზრის შექმნა და მოიყვანეთ ფაქტები, როგორ დაასრულეს იმ სახელმწიფოს ლიდრებმა სიცოცხლე, რომელთაც ანალოგიურ დანაშაულში დასდეს ბრალი...**

– საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგალითად, **როზერტ ფიცოს** მკვლელობის მცდელობა გვახსოვს, მერე ის მუქარაც გვახსოვს, რომელიც **ირაკლი კობახიძის** მიმართ იყო. სხვანაირად ვერც ვიტყვით. ეს მუქარა იყო სიცოცხლის მოსპობით. რეალურად, ყველაფერი შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, სიფრთხილე აუცილებელია, მაგრამ რამდენად შეიძლება ამისგან თავი დაიცვა, როცა ასეთი ძლიერი მტერი გიპირისპირდება, არ ვიცი. თუმცა, რეალურად, რა თქმა უნდა, სახიფათოა.

ჯანმრთელობას ვუსურვებ ჩვენს პრემიერ-მინისტრს, მაგრამ ჩემი აზრით, ეს მუქარა არის სახიფათო. აქ არის მეორე საკითხი, რატომ ვამბობ მკვლელობაზე – პირდაპირ სამხედრო გადატრიალება ცოტა რთული მეჩვენება საქართველოში. იმის გამო, რომ ეს მაშინვე ხელს გაუხსნის რუსეთს, მოახდინოს საქართველოს სრული ანექსია, რომელსაც საქართველოში საკმაოდ ძლიერი ორი ბაზა აქვს და პლუს გიუმრის სამხედრო ბაზა. მძიმე სამხედრო ვითარებაში ვიმყოფებით. ჩვენი სამხედრო ძალა იმასთან შედარებით, რაც ჩვენს გარშემო ქვეყნებს აქვთ, ძალიან მცირეა – 15 ათასი ჯარისკაცი. ამ დროს, მარტო ბახმუტის დაცვაში დაიღუპა 45 ათასი ჯარისკაცი. აქედან გამომდინარე, პრაქტიკულად, ჩვენ დაუცველები ვართ. ჩვენი დაცვა არის ის მომენტი, რომ ჯერ კიდევ არსებობს ალტის კონფერენციის შეთანხმებები.

**– რეალურად არის დაცვა ეს შეთანხმება?**

– ჯერჯერობით, მორალური დაცვა გვაქვს. იმისდა მიუხედავად, რომ მე ვთვლი, ჩვენი სამხედრო პოტენციალი უნდა გაიზარდოს. მძიმე დროში შევდივართ, როდესაც უკვე არ მუშაობს არანაირი შეთანხმებები და ძალა წყვეტს ყველაფერს, რა თქმა უნდა, ჩვენც უნდა გავაძლიეროთ ჩვენი სამხედრო თავდაცვა. ეს კი ძალიან რთულია ჩვენი ბიუჯეტისა და რიცხოვნობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ეს ხიფათია.

**– თუმცა, რამდენად გადააბიჯებენ ამას და რა შემთხვევაში გადაწყვეტენ ჩვენთან გადატრიალების მოხდენას?**

– ეს დამოკიდებულია იმაზე, ჩვენი დაუძინებელი მტრები რამდენად შეთანხმდებიან რუსეთთან.

**– რუსეთის რა ჯგუფთან?**

– რა მნიშვნელობა აქვს? რუსეთი მაინც ცენტრალიზებული ქვეყანაა და ასე თუ ისე, მას მაინც ერთი ვერტიკალი მართავს. გავიხსენოთ პერიოდი, როდესაც საქართველოში მოახერხეს გადატრიალება, ე.წ. „ვარდების რევოლუციის" სახით, ვინ იყო ჩამოსული ამ „ვარდების რევოლუციის" შედეგების დასამტკიცებლად? – ეს იყო **იგორ ივანოვი**, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. მაშინ უცხოური ძალები და რუსეთი შეთანხმდნენ იმაზე, რა მოხდებოდა საქართველოში.

ეს გარიგება თუ მოხდა, მაშინ გადატრიალება შესაძლებელია. თუ არ მოხდა, მინიმუმ, შეიძლება ველოდოთ ადამიანების მკვლელობებს, ლიკვიდაციას. მე ასე მგონია. იმიტომ, რომ ეს ნიშანი, „ბიბისის" ჩართულობა, ეს ხომ არაა პატარა, უმნიშვნელო მედია-საშუალება, ან ვიღაც ბლოგერი. ეს არის ბრიტანეთის სერიოზული ორგანიზაცია, რომელზეც დიდი გავლენა და ზემოქმედება აქვს დაზვერვას. ამიტომ, ეს ძალიან მძიმე ნიშანია.

სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფო იზოლირებულია და შიგნითაც გაყოფილია მილიონ ძალებად, რომელსაც იყენებენ სხვა სახელმწიფოები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. რომ არა მეტაფიზიკური მფარველობა საქართველოსი, ჩემი აზრით, საქართველო საერთოდ არ იარსებებდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ რეალურად თვითმკვლელები გავხდეთ. რეალურად, ეს ხდება ჩვენს თვალწინ – ერი, რომელსაც ძალიან მძიმე დრო უდგას.

არანაირი ერთობა ამ ერში არ არსებობს და მუდამ განხეთქილებაა ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. ამიტომ, ძალიან ადვილია ნავთი მიასხა, ცეცხლი წაუკიდო და აქ არეულობა გამოიწვიო, თუ ვინმეს უნდა და ვხედავთ, რომ უნდათ. მართლაც ძალიან ბევრ ქვეყანას უნდა, რომ აქ აირიოს ვითარება იმიტომ, რომ თუ ვერ შეთანხმდნენ რუსეთის ფედერაციასთან, აქ ერთადერთი, რაც შეუძლიათ მოაწყონ, ეს არის მკვლელობები და არეულობა.

**– პოლიტიკური მკვლელობა?**

– რა თქმა უნდა, პოლიტიკური მკვლელობები და არეულობა. მე ასე ვხედავ.

**– სამიზნე ვინ შეიძლება იყოს? პრემიერისგან ვიცით, რომ მას ევროკომისარი დაემუქრა, რომელმაც მერე თქვა, რომ თურმე ეს იყო ხუმრობა...**

– იცით, რა? იმ ფონზე, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატს ესროლეს, ფიცოს ესროლეს და ეუბნები, რომ თუ ჭკუით არ იქნები, იგივე ბედს გაიზიარებ, ეს მუქარაა და არა ხუმრობა!

**– მათი გაგებით, კობახიძე ჭკუით არ არის...**

– ყოველ შემთხვევაში, ზედმიწევნით არ ასრულებს იმათ დავალებებს. აქედან გამომდინარე, ეს მუქარა შეიძლება განხორციელდეს. რამდენად მოხდება ეს, არ ვიცი, მაგრამ რეალურად საშიში არის. იცით, რა, „პროგრესული კიბორგ-საზოგადოება", ყველაფერს, რასაც ჩასძახებს პროგრამისტი, ყოველგვარი რეფლექსიის გარეშე ითვისებს, იმეორებს და ამპლიფიცირებს. ყველა დისკურსი, რომელსაც ულუფის სახით აწვდიან, მარტივად გადასახარში და გადასაცემი უნდა იყოს, რადგან „მოწინავე აუდიტორიის" გამოლაყებული ტვინები მხოლოდ ცხოველურ ინსტიქტებზე რეაგირებენ – საკვები, სიამოვნება, სექსი და გართობა.

ადამიანი, რომელიც აზროვნებს დიდ დროში და ცოტა უფრო რთულად, წარმოჩენილია მტრად და მავნებლად, ის აუცილებლად უნდა გადაშენდეს, განათლების სუროგაციით, რწმენისა და ავტორიტეტების მიზანმიმართული დისკრედიტაციით, სამწუხაროდ, ეს უკვე მოუხერხეს ახალგაზრდებს. მიზანი ანდროგინი არსება – რობოტია, მოკვეთილი მეტაფიზიკური ზედა სართულითა და სრული ზნეობრივი რელატივიზმით.

ასეთი რობოტ-არსება თვითონ გაანადგურებს ადამიანურ ცივილიზაციას და დაასრულებს ადამიანის არსებობას სამყაროში. ალბათ, ვისაც ეს ტექსტი ესმის და არ ეჩვენება სასაცილოდ, ის მცირე ნაწილია არსებებისა, რომლებსაც შერჩათ ადამიანად არსებობის შანსი. ამ განსაცდელის მოახლოება ჩემთვის იმდენად ცხადია, რომ ვერც კი წარმომიდგენია, არ მოხდეს. ალბათ, ასე ფიქრობდა ყველა დროში ადამიანი, მაგრამ ჯერ კიდევ ვარსებობთ, რაც ნამდვილად სასწაულია.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# ირაკლი კობახიძე თურქმენეთის პრეზიდენტს შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე თურქმენეთის პრეზიდენტ სერდარ ბერდიმუჰამედოვს შეხვდა.**

საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, თურქმენეთის პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მშვიდობისა და ნდობის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა.

**„მხარეებმა ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ყურადღება დაეთმო სატრანზიტო-ლოჯისტიკური მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებისა და შუა დერეფნის მეშვეობით ცენტრალური აზიიდან საქართველოს საზღვაო პორტების მიმართულებით დამატებითი ტვირთების მოზიდვის პოტენციალს.**

**პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა მზადყოფნა, საქართველომ ხელი შეუწყოს თურქმენული გაზის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებას.**

**ირაკლი კობახიძემ თურქმენეთის პრეზიდენტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ასევე ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მზადყოფნა გამოთქვეს. ირაკლი კობახიძემ სერდარ ბერდიმუჰამედოვი ოფიციალური ვიზიტით საქართველოში მოიწვია“,** – ნათქვამია საქართველოს მთავრობის ინფორმაციაში.




**საქართველოს მთავრობა არსენალის მთაზე სამთავრობო ქალაქის მშენებლობას გეგმავს. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებული პროექტირების ბაზრის მოკვლევის თანახმად, ადგილზე გადავლენ როგორც სამინისტროები, ასევე თბილისის მერია, მთავრობის ადმინისტრაცია და საქართველოს პარლამენტი.**

# მთავრობა სახელმწიფო უწყებების არსენალის მთაზე გადატანას გეგმავს

პროექტთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გააკეთა ირაკლი კობახიძემ, რომლის თქმითაც ადმინისტრაციული შენობების ჩანაცვლების პროექტის ფარგლებში კონკრეტული სამინისტროების შენობები გაიყიდება.

**„კონკრეტული უწყებების შენობები შეიძლება გასხვისდეს, რათა იგივე ფასად ჩვენ მივიღოთ ახალი შენობა, რაც ზოგადად უზრუნველყოფს ეკონომიკურ აქტივობას. საინვესტიციო მიზნებით როდესაც მოხდება კონკრეტული ობიექტების გასხვისება, ესეც ხელს შეუწყობს ხელს ეკონომიკურ აქტივობას, რაც დამატებით შეუწყობს ხელს ეკონომიკურ აქტივობას“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

მთავრობა თავდაპირველად სამთავრობო ქალაქის მშენებლობას ორთაჭალაში გეგმავდა, თუმცა როგორც ირკვევა, **პროექტის მისამართმა არსენალის მთაზე გადაინაცვლა, სადაც მთავრობას 77 ჰექტარის მიწის ნაკვეთი ეკუთვნის და ეს ტერიტორია თბილისის ფარგლებში ერთ-ერთი უმსხვილესი ზონაა, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია.**

**მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებული ბაზრის მოკვლევის თანახმად, პროექტის ფარგლებში სულ 282,750 კვადრატული მეტრის ახალი საოფისე და ადმინისტრაციული ნაგებობები უნდა აშენდეს. მათ შორის უნდა მოეწყოს ღონისძიებების გასამართი არანაკლებ 10,000 კვადრატული მეტრის მისაღები სივრცეც. ჩამოთვლილ ობიექტებს შორის ყველაზე დიდი იქნება თბილისის მერია 59,900 კვადრატული მეტრის ფართობით, პარლამენტის შენობისთვის კი 31,350 კვადრატული მეტრის საოფისე შენობა იქნება გათვალისწინებული.**

# ელექტროენერგიით თვითკმარი სახელმწიფო უნდა გავხდეთ!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი:**

**როგორც მოგეხსენებათ, გასული რამდენიმე თვის განმავლობაში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები ენერგეტიკის სფეროს მართვის გასაუმჯობესებლად.**

**ენერგეტიკის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საწარმოებში განხორციელდა როგორც საკადრო, ისე პროექტების ხარჯების ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც სახელმწიფომ ერთჯერადად 349 მილიონი ლარი, ხოლო ყოველწლიურ ჭრილში 25 მილიონი ლარი დაზოგა. ბუნებრივია, დაზოგილი თანხები მთლიანად ენერგეტიკის სისტემის და შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებას მოხმარდება.**

ოპტიმიზაციის პარალელურად, ჩვენ სრულად გადავხედეთ ენერგეტიკულ პოლიტიკას. თვეების განმავლობაში, აქტიურად მიმდინარეობდა სექტორში არსებული ყველა გამოწვევის ანალიზი, გამოვლინდა და აღმოიფხვრა მანკიერი პრაქტიკა სხვადასხვა მიმართულებით.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი სტრატეგიული მიზანია, საშუალოვადიან პერსპექტივაში საქართველო გახდეს ელექტროენერგიით უზრუნველყოფის თვალსაზრისით სრულად თვითკმარი და ელექტროენერგიის ექსპორტიორი ქვეყანა, რასაც ენერგეტიკის სისტემის სწრაფი განვითარება ესაჭიროება. ამისათვის, უნდა მოიხსნას ყველა ბარიერი, რომელიც სისტემის განვითარებას უშლის ხელს.

**დღევანდელი მდგომარეობით, განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა 15,000 მეგავატის პოტენციური სიმძლავრის ენერგეტიკული პროექტები. სახელმწიფოს ამოცანაა, ერთი მხრივ, გაცხრილოს სპეკულაციური პროექტები, რომლებსაც განვითარების რეალური პერსპექტივა არ აქვს და მეორე მხრივ, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ყველა იმ პროექტის სწრაფ განვითარებას, რომელსაც კეთილსინდისიერი ინვესტორი ჰყავს და რომლის მშენებლობასაც კომპანია სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება.**

გასული წლების განმავლობაში, ასეთ კომპანიებსაც შეექმნათ სირთულეები, რაც გამოსწორებას საჭიროებს. ჩვენ გვაქვს მუდმივი დიალოგი ენერგეტიკის სექტორში მოქმედ კომპანიებთან და დაინტერესებულ ინვესტორებთან და ვისმენთ დარგის სპეციალისტების მოსაზრებებს. ამგვარი დიალოგისა და კონსულტაციების საფუძველზე, ნათლად გამოიკვეთა, რომ სექტორს განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარება ესაჭიროება.

**ჩვენი მიზანია, განახლდეს ყველა შეჩერებული პროცესი და მოიხსნას ყველა ბარიერი, რომელიც ახალი ობიექტების მშენებლობას და ელექტროენერგიის გენერაციის ზრდას უშლის ხელს. ჩვენ გვინდა, სრულად გადაიტვირთოს პროცესი და განახლდეს ენერგეტიკის სისტემის შეუქცევადი განვითარება სუფთა ფურცლიდან, ორმხრივად გაწერილი ვალდებულებებით და შეთანხმებულ ვადებში.**

ენერგეტიკის სისტემის განვითარებას ერთ-ერთ დაბრკოლებას უქმნის დავალიანებები, ჯარიმებისა თუ საურავების სახით, რომლებიც კომპანიებს გასული წლების განმავლობაში დაუგროვდათ. სწორედ ამიტომ, ჩვენ მივიღეთ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება სექტორში მოქმედი კომპანიებისათვის, კონკრეტული დათქმით, დაკისრებული ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს პატიების შესახებ.

ენერგეტიკის სექტორში მოქმედ ყველა კომპანიას, რომელიც ჩართულია განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარების პროცესში, კონკრეტული დათქმით ჩამოეწერება სახელმწიფოს წინაშე დაგროვილი ჯარიმები, რომლის ჯამური მოცულობა 1 მილიარდი ლარია.

**რაც შეეხება დათქმას: იმისათვის, რომ კომპანიებს არ გაუჩნდეთ საქმიანობის უპასუხისმგებლოდ გაგრძელების ცდუნება და არ დააგროვონ ახალი ჯარიმები, არამედ სერიოზულად მოეკიდონ სექტორის გადატვირთვის სახელმწიფო ინიციატივას, მათ, განახლებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, სრულად დაეკისრებათ ახლად დაგროვილი პირგასამტეხლოს და ჯარიმის გადახდის ვალდებულება და ამასთან ერთად, აღუდგებათ ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილებით ნაპატიები ჯარიმებიც.**

კონკრეტული დათქმით დავალიანებების პატიება ემსახურება ერთდროულად ორ მიზანს – ერთი მხრივ, კომპანიებს უნდა მოეხსნათ ფინანსური ბარიერი ენერგეტიკული პროექტების განხორციელების პროცესში და მეორე მხრივ, კომპანიებს უნდა დარჩეთ მაქსიმალური მოტივაცია დაგეგმილი პროექტების სათანადო ვადებში განსახორციელებლად.

**დავალიანებების პატიება უნდა გახდეს ახალი, ორმხრივ თანამშრომლობაზე დაფუძნებული, თუმცა, ამასთანავე, პასუხისმგებლობით გაჯერებული პროცესის დასაწყისი. ეს ნიშნავს ახალ შეთანხმებებს, ახალ გრაფიკს და ახალ გონივრულ ურთიერთვალდებულებებს სახელმწიფოსა და კომპანიებს შორის. ჩვენ მკაცრად მივუდგებით ახალ შეუსრულებელ ვალდებულებებს, ან ახალ დავალიანებებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.**

ჩვენი ახალი მიდგომით, ვიწყებთ ისეთი ენერგეტიკული პოლიტიკის დანერგვას, რომელიც მისაღები იქნება ენერგეტიკის სფეროში ჩართული კომპანიებისთვის და რომლიდანაც მაქსიმალურ სარგებელს მიიღებს ქვეყანა. ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება ახალ სტიმულს მისცემს ენერგეტიკის სისტემის განვითარებას, რასაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

**მადლობას ვუხდი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, ქალბატონ მარიამ ქვრივიშვილს და სამინისტროს გუნდს ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მომზადებისთვის. ენერგეტიკულ კომპანიებს მინდა ვუსურვო წარმატებები განახლებადი ენერგიის პროექტების განხორციელების პროცესში.**

**მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური**



## საქართველოს იუსტიციის მინისტრი პაატა სალია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარეს შეხვდა

**პაატა სალია სტრასბურგის სასამართლოს თავმჯდომარე მატიას გიომარს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში აღინიშნა, რომ საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან ეფექტიან და კონსტრუქციულ თანამშრომლობას სამართალწარმოების ყველა ეტაპზე ინარჩუნებს.**

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შესული საქმეების მკვეთრი კლებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პოზიტიურ დინამიკაზე. პაატა სალიამ რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორის საქმეებზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობაზე ისაუბრა და მატიას გიომარს მადლობა გადაუხადა მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო განხილვებისთვის.




## ტვინების გამორეცხვა გრძელდება




# დიპლომატიური სკანდალი თბილისსა და ლონდონს შორის

**თბილისი-ლონდონის ურთიერთობები რეკორდულად დაბალ ნიშნულზეა! „ბიბისის“ (BBC) მიერ გავრცელებული სკანდალური და სიყალბით გაჟღენთილი სიუჟეტის შემდეგ, დიპლომატიური დაპირისპირება საქართველოს ხელისუფლებასა და დიდ ბრიტანეთს შორის კრიზისულ ფაზაში გადავიდა. ვითარებას საგანგაშოდ ამძიმებს საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩის გარეტ უორდის განცხადებები, რომელსაც მმართველი პარტიის ლიდერები „ღირსებაჩამორთმეული და სუვერენიტეტდაკარგული ქვეყნის ელჩის“ ქმედებად აფასებენ და მას სტუდენტების „ტვინის გამორეცხვასა“ და „პირდაპირ დეზინფორმაციის გავრცელებაში“ ადანაშაულებენ.**

## ეს არის თავდასხმა ქართველ ხალხზე

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ბრიტანეთის ელჩის მიერ ერთ-ერთ უნივერსიტეტში გაკეთებულ განცხადებებს უმკაცრესი შეფასება მისცა. გავრცელებული ინფორმაციით, ელჩმა სტუდენტებთან შეხვედრისას თქვა, რომ „ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაზიანებულია, „ქართულმა ოცნებამ“ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ოპოზიციასთან მიმართებით, ანტიდემოკრატიული ნაბიჯები გადადგა“.**


ბრიტანეთის ელჩი საქართველოში გარეტ უორდი

პრემიერ-მინისტრის თქმით, ეს არის „თავდასხმა ქართველ ხალხზე და საქართველოს ხელისუფლებაზე, ქართველი ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებაზე, რაც ძალიან სამწუხაროა“. კობახიძე აკავშირებს ელჩის ქმედებას დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის **ლიზ ტრასის** განცხადებებთან, რომელიც პირდაპირ საუბრობდა იმაზე, რომ **Deep State**-მა არსებითი გავლენა მოიპოვა ბრიტანეთის ხელისუფლებაზე

**„სუვერენული, ღირსეული ბრიტანული ბიუროკრატია ასე არ მოიქცეოდა, როგორც იქცევა ბრიტანეთის ელჩი საქართველოში. ელჩის ასეთი განცხადებები პირდაპირ შეიძლება განიმარტოს, როგორც ღირსებაჩამორთმეული და სუვერენიტეტდაკარგული ქვეყნის ელჩის განცხადებები. ეს არის ძალიან ტრაგიკული მოვლენა“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ** და დასძინა, რომ **ელჩს „ურჩევნია, ბოდიში მოიხადოს იმ სიყალბით გაჯერებულ სიუჟეტზე, რომელიც ბრიტანულმა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაავრცელა“.**

დიდი ბრიტანეთის საელჩო საქართველოში BBC-ის ემიჯნება და აცხადებს, რომ აღნიშნული მედია-საშუალება დამოუკიდებელია ბრიტანეთის მთავრობისგან, როგორც საოპერაციო, ასევე სარედაქციო საქმიანობის თვალსაზრისით. საელჩოს კომენტარს „რადიო თავისუფლება“ ავრცელებს.

ამ კომენტარით საელჩო პასუხობს საქართველოს მთავრობის მეთაურის **ირაკლი კობახიძის** მოწოდებას BBC-ის ჟურნალისტური გამოძიების გამო ბოდიშის მოხდაზე.

## „დიფ სთეითის“ გავლენა და ანტიქართული დეზინფორმაცია

**„BBC დამოუკიდებელია ბრიტანეთის მთავრობისგან, როგორც საოპერაციო, ასევე სარედაქციო საქმიანობის თვალსაზრისით და ეს საკითხი თავად კორპორაციის გადასაწყვეტია“,** – განუცხადეს „რადიო თავისუფლებას“ საელჩოში.

**ლიზ ტრასის** ბრალდებები Deep State-ის (**ე.წ. „ღრმა სახელმწიფო“**) მიმართ უკიდურესად მწვავეა. როგორც პრემიერმა კობახიძემ განაცხადა, მისი მთავარი ბრალდება სწორედ „დიფ სთეითს“ უკავშირდება. მისი ხანმოკლე პრემიერობის (49 დღე) ჩავარდნა გამოწვეული იყო არა მისი შეცდომებით, არამედ „აურჩევი ელიტის“ და ბიუროკრატიული ისტებლიშმენტის (Deep State) მიზანმიმართული წინააღმდეგობით.

**ყოფილი პრემიერი ტრასი ამბობს, რომ ის მოიცავს ინსტიტუტებს, როგორებიც არიან ინგლისის ბანკი, ფინანსთა სამინისტროს მოხელეები და სხვა ბიუროკრატიული ორგანოები. ამ ძალებმა სუვერენიტეტი დააკარგვინეს ბრიტანეთის ხელისუფლებას, რათა შეენარჩუნებინათ სტატუს-კვო და ხელი შეეშალათ მის (ტრასის) მიერ დაგეგმილი რადიკალური ეკონომიკური რეფორმებისთვის (გადასახადების მასშტაბური შემცირება). ტრასი თავს მიიჩნევს „ისტებლიშმენტის უზარმაზარი უკუგდების“ მსხვერპლად.**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** ელჩის სტუდენტებთან შეხვედრასა და განცხადებებს „ორმაგად საგანგაშო“ უწოდა.

**„საგანგაშოა, როდესაც ელჩი პირადად არის ჩართული დეზინფორმაციის გავრცელებაში. ორმაგად არის საგანგაშო, როცა ამას აკეთებს სტუდენტებთან შეხვედრაზე და ამით ხდება ტვინის გამორეცხვა სტუდენტებისთვის, მათთვის დეზინფორმაციული ნარატივის თავს მოხვევით. ეს არის პოლიტიკური კამპანია საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის მონაწილეც აღმოჩნდა ბრიტანეთის ელჩი. პირდაპირ ავრცელებს ტყუილს და დეზინფორმაციას“,** – აღნიშნა **პაპუაშვილმა**.

მისი თქმით, ელჩის ჩართულობა „ანტიქართული დეზინფორმაციის“ გავრცელებაში კიდევ უფრო აღვივებს ეჭვებს, იყო თუ არა BBC-ის სიუჟეტი „სახელმწიფოს ჩართულობით წარმოებული ჰიბრიდული ოპერაცია საქართველოს წინააღმდეგ“.

პარლამენტის უმრავლესობის ლიდერმა **ირაკლი კირცხალიამ** პლენარულ სხდომაზე მკვახე პასუხი გასცა ლონდონის ქმედებებს. მან ბრიტანეთის მთავრობასა და მედიას **„არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობის კონტროლის ქვეშ არსებული“** უწოდა და ლიზ ტრასის განცხადება მოიყვანა იმის საილუსტრაციოდ, რომ **„იმ ქვეყნის რეალური ვითარება, რომელიც იცლის და საქართველოს მიმართ ბინძური ცილისწამებით არის დაკავებული, არ არის სახარბიელო“.**

**„ბოლო დღეებია, ჩვენი ქვეყნის მიმართ არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობის კონტროლის ქვეშ არსებული ბრიტანეთის მთავრობისა და ასევე, კონტროლის ქვეშ მოქცეული ე.წ. მედიის მხრიდან დეზინფორმაციის ნიაღვარი მოედინება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. მიხედეთ საკუთარ ქვეყანას! მიხედეთ საკუთარ ხალხს!“** – იყო **კირცხალიას** მკვეთრი გზავნილი.

არსებული კრიზისი, რომელშიც უმაღლესი დონის დიპლომატიური წარმომადგენელი უშუალოდ არის ჩართული, მწვავე კითხვებს აჩენს დიდ ბრიტანეთთან სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივასთან დაკავშირებით და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ფასდება, როგორც უპრეცედენტო ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** fo-r.ge-სთან ამბობს, რომ, რა თქმა უნდა, დიდი ბრიტანეთის ელჩისა და ტელეკომპანია „ბიბისის“ მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი საქართველოს წინააღმდეგ, დროში შემთხვევით არ ემთხვევა. ანალიტიკოსი ეჭვობს, რომ ეს არის დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ კოორდინირებული მოქმედება, რომელიც საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციას ემსახურება.

**„რა თქმა უნდა, ეს არის ბრძანება, როგორც „ბიბისის“ მისამართით, ასევე ელჩის, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე დარტყმა უნდა განხორციელებულიყო, რაც ორივე მათგანმა შეასრულა. მე, სიმართლე გითხრათ, ბოლომდე არ მესმის ამ შეტევის შინაარსი, რადგან მათი მხრიდან გაიელვა აზრმა, რომ, არიქა, ქიმიური იარაღი თუ აქვს საქართველოს, ეგ პროცესი უნდა გავაკონტროლოთო. საერთაშორისო დონეზე არ მოჰყვა რეზონანსი, რომ ვთქვათ, ამის გამო გააკეთეს. ქვეყნის შიდა პოლიტიკაზეც ამან რომ ასახვა ვერ ჰპოვა, რუსთაველის მოედანზე ღამღამობით თავშეყრილი ხალხის სიმცირეც ამის მშვენიერი დასტურია. საპროტესტო ჯგუფი რომ დიდი რაოდენობით ვერ იკრიბება, ამას საკუთარი თვალითაც ვხედავთ“,** – ამბობს **საყვარელიძე**.

## „დიფ სთეითის“ ნაცვლად, ულტრამემარცხენეები

**კითხვაზე, რამდენად ეთანხმება ხელისუფლების ლოგიკას იმაში, რომ დიდ ბრიტანეთში მოქმედებს „დიფ სთეითი“ (Deep State), რომელმაც აშშ-დან ლონდონში გადაინაცვლა და ეს არის უშუალოდ ამ ძალების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ, საყვარელიძე გვპასუხობს, რომ ესენი არიან ის გლობალური ლიბერალური ძალები, რომლებსაც ახლა უკვე ტრამპიც კი ღიად უპირისპირდება.**

**„მე, პირადად, სახელებში არ ვეთანხმები ხელისუფლებას, თუმცა პოლიტიკის შინაარსში ვეთანხმები. „დიფ სთეითის“ ხსენება ჩვენს საზოგადოებაში ბევრი ადამიანისთვის გაურკვეველია, ამიტომ შემდეგ ამას ოპოზიცია იყენებს და სპეკულაციის საგანი გახდა. აქ საუბარია იმ ულტრამემარცხენე ძალებზე, რომლებიც კონცენტრირებულნი არიან ამერიკის დემოკრატიულ პარტიაში და ამ პარტიის მარცხის შემდეგ, მართლაც ამ ძალების ცენტრი ევროპა გახდა, კონკრეტულად კი დიდი ბრიტანეთი. ეს კონკრეტული პოლიტიკური ძალებია, ამიტომ უნდა ვთქვათ, ვინ გვებრძვის. „დიფ სთეითი“ უფრო გაუგებრად ჟღერს საზოგადოებისთვის, ვიდრე სჯობს ვისაუბროთ, რა ძალები უპირისპირდებიან საქართველოს ხელისუფლებას. ამიტომ „დიფ სთეითით“ ოპერირება ამ შთაბეჭდილებას ტოვებს“,** – ამბობს **საყვარელიძე**.

## კონსერვატიული მოძრაობის მხარდაჭერა

**საყვარელიძის თქმით, საქართველო კონსერვატიული მოძრაობის მხარდამჭერი გახდა ევროპაში, რომლის მიმდევარი ევროპაში და მთავარი დასაყრდენი ძალა უნგრეთია.**

**„ამ მოძრაობის ერთ-ერთი მონაწილე და წევრი საქართველოა, რის გამოც საქართველოს ხელისუფლება ამ ძალების სამიზნე გახდა. ვხედავთ, ტრამპის ადმინისტრაციაც როგორ ემხრობა კონსერვატორულ ღირებულებებს და ეს უკვე სახელმწიფო დოქტრინის დონეზე გაიწერა. ჩვენ უკვე, აი, ამ ბრძოლაში ვართ მოყოლილები. გარდა იმისა, რომ ჩვენ მკაფიოდ გვიკავია ეს პოზიცია, ჩვენ ასევე საკვანძო ადგილას ვართ, კომუნიკაციის ჭიშკარი ვართ, რაც ევროპასა და აზიას აკავშირებს. ამიტომ გლობალისტებს სურთ, რომ მათი მხარდამჭერი პარტიები იყვნენ ხელისუფლებაში და არა მოწინააღმდეგეები“,** – ამბობს **საყვარელიძე**.

მოამზადა
ლიკა ბერიკაშვილმა

**ბოლო დღეებია, ჩვენი ქვეყნის მიმართ არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობის კონტროლის ქვეშ არსებული ბრიტანეთის მთავრობისა და ასევე, კონტროლის ქვეშ მოქცეული ე.წ. მედიის მხრიდან დეზინფორმაციის ნიაღვარი მოედინება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. მიხედეთ საკუთარ ქვეყანას! მიხედეთ საკუთარ ხალხს!**

## „ღია კარი“ დაიხურა!!!

**აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების 2025 წლის სტრატეგიაში, ევროპაში აშშ-ის პრიორიტეტებს შორის, დასახელებულია „ნატოს, როგორც მუდმივად გაფართოებადი ალიანსის აღქმის დასრულება“. დოკუმენტში, რომელიც დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ თეთრი სახლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა, აღნიშნულია, რომ ევროპაში აშშ-ის ფართო პოლიტიკის პრიორიტეტები უნდა იყოს ევროპაში სტაბილურობის პირობებისა და რუსეთთან სტრატეგიული სტაბილურობის აღდგენა.**



# ნატომ, როგორც „ცივი ომის“ გადმონაშთმა, ფუნქცია დაკარგა!

**ასევე, ევროპისთვის ფეხზე დგომის და შეთანხმებული სუვერენული ერების ჯგუფის სახით ფუნქციონირების ხელშეწყობა, მათ შორის, საკუთარ თავდაცვაზე ძირითადი პასუხისმგებლობის აღებით, რომელიმე მოწინააღმდეგე ძალის დომინირების გარეშე; ევროპის ქვეყნებში ევროპის ამჟამინდელი ტრაექტორიის მიმართ წინააღმდეგობის გაღვივება; ევროპული ბაზრების გახსნა აშშ-ის საქონლისა და მომსახურებისთვის და აშშ-ის მუშახელისა და ბიზნესისადმი სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფა;**

**ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში ჯანსაღი ქვეყნების გაძლიერება კომერციული კავშირების, იარაღის გაყიდვის, პოლიტიკური თანამშრომლობისა და კულტურული და საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების გზებით; ნატოს, როგორც მუდმივად გაფართოებადი ალიანსის აღქმის შეწყვეტა და ამ რეალობის აღკვეთა; ევროპის წახალისება, რომ მიიღოს ზომები მერკანტილური ჭარბი საწარმო სიმძლავრის, ტექნოლოგიური ქურდობის, კიბერჯაშუშობის და სხვა მტრული ეკონომიკური პრაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.**

ამერიკელი „რესპუბლიკელი“ კონგრესმენის **ტომას მასის** განცხადებით, **ნატო „ცივი ომის“ გადმონაშთია და შესაბამისად, ის აშშ-ის ხელისუფლებას ნატოს დატოვებისკენ მოუწოდებს. „ნატო – „ცივი ომის“ გადმონაშთია. ჩვენ ნატოდან უნდა გავიდეთ და ფული ჩვენი ქვეყნის თავდაცვაზე და არა სოციალისტურ ქვეყნებზე დავხარჯოთ“,** – დაწერა **ტომას მასიმ** სოციალურ ქსელ X-ში.

**რაც შეეხება საქართველოს, ქვეყანას ნატოსთან 24-წლიანი თანამშრომლობის ისტორია აკავშირებს და 1992 წლიდან დღემდე, გრძელი და მნიშვნელოვანი გზა განვლო. მიუხედავად არსებული ვითარებისა, საქართველო ნატოს კოლექტიური თავდაცვის ერთადერთ ორგანიზაციად განიხილავს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პოლიტიკური, სამხედრო და სხვა რესურსი, რათა უზრუნველყოს მისი წევრების უსაფრთხოება და შეინარჩუნოს მშვიდობა ევროატლანტიკურ სივრცეში.**

**1991 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანამ თავისი ისტორიული არჩევანი გააკეთა და პროდასავლური კურსი აიღო. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, უსაფრთხოება და დემოკრატიული განვითარება ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების ძიება ევროატლანტიკურ სივრცეში დაიწყო. 2004 წელს, საქართველო გახდა პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ნატომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფორმატში დაიწყო თანამშრომლობა.**

2006 წელს ნიუ-იორკში გამართულ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე, ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოსთან დაეწყო „ინტენსიური დიალოგი გაწევრების საკითხებზე“. ამ გადაწყვეტილების შედეგად, საქართველო ფორმალურად გადავიდა პარტნიორობის ფორმატიდან ალიანსის წევრობის კანდიდატის – ასპირანტის ფორმატზე, რაც გულისხმობს ქვეყნის ნატში გაწევრების მისწრაფებას.

2008 წელს, ნატოს ბუქარესტის სამიტზე, ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ „საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა“. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გზავნილს, რომელმაც ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პროცესში მნიშვნელოვანი სიცხადე შეიტანა. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მიერ, 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესია.

2022 წელს მადრიდის სამიტზე მიღებული იქნა არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის, სამიტის კომუნიკე და „საქართველოზე მორგებული დახმარების ღონისძიებათა დოკუმენტი“. ეს სამიტი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მოკავშირეებმა დაამტკიცეს ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც მორგებულ იქნა ახალი გეოპოლიტიკური რეალობისადმი. კონცეფციაში პირველად რუსეთი აღიარებულია ნატოს წევრი ქვეყნებისთვის პირდაპირ საფრთხედ. ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში აისახა ღია კარის პოლიტიკის აქტუალობა და საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივა. ასევე, გაცხადებულია ის ფუნდამენტური პრინციპი, რომ ყველა ქვეყანას აქვს სუვერენული უფლება, თავად აირჩიოს საგარეო-პოლიტიკური კურსი.

სამიტზე ალიანსის წევრებმა კომუნიკეში კიდევ ერთხელ დაადასტურეს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი და ურყევი მხარდაჭერა გამოაცხადეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიულ მთლიანობის მიმართ. გარდა ამისა, ასპირანტი ქვეყნების მეტი მხარდაჭერის მიზნით, ალიანსმა მიიღო „საქართველოზე მორგებული დახმარების ღონისძიებათა პაკეტი“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას, ნატოს კიდევ უფრო ქმედითად ჩართულობას და შესაბამისად ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, რეალურად მისი განხორციელება არ ხდება. ნატოს წევრი ქვეყნები საქართველოში აფინანსებენ სახელმწიფო გადატრიალებას, აორგანიზებენ რადიკალურ და ექსტრემისტულ ძალებს. მეტიც, საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებენ ჰიბრიდულ ომს. შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაში გაჩნდა სკეპტიციზმი ალიანსში გაწევრების იდეასთან დაკავშირებით, მით უფრო, რომ წლებია, საქართველო ნატოს ე.წ. კარებთან დგას, მაგრამ შიგნით არ უშვებენ და არც აქვთ პოლიტიკური გადაწყვეტილება საქართველოსთან დაკავშირებით. ამ დრომდე, მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლება საქართველო – ნატოს ურთიერთობა.

პარლამენტის თავმჯდომარის **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, სინამდვილეში, ნატოშია ჩამოუყალიბებლობა გაფართოებასთან დაკავშირებით:

**„ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, ამის გამო, უკრაინა სისხლს ღვრის – აი ახლა, ამ წუთებშიც. ნატოს წევრობისთვის დაიწყო ომი, ამ უფლებისთვის, ნატოს წევრი რომ იყოს, ამისთვის იბრძვის უკრაინა. აშშ ამბობს იმას, რაც მისი პოლიტიკაა და პრობლემა არის იმ ფარისევლებში, რომლებიც დგანან და საუბრობენ, რომ კონსენსუსი არ არის, ხვალ იქნება თუ მაზეგ იქნება, არ ვიცით, კარი ღიაა და ა.შ. სინამდვილეში, მართლდება ის, რაც ედუარდ შევარდნაძემ თავის დროზე თქვა, როდესაც უთხრეს, რომ ნატოს კარი ღია არისო, მისი პასუხი იყო – ნამეტანი დიდხანს ნუ დაგვაყენებთ ღია კარში, რადგან ორპირმა ქარმა გაციება იცისო“,** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

როგორც პაპუაშვილი აცხადებს, ბურთი სრულად ნატოს მოედანზეა, მაგრამ პრობლემა დღეს ნატოშია, ის არ იღებს გადაწყვეტილებას.

**„სამწუხაროდ, ვხედავთ გარკვეულ განცხადებებს, რომ არ არსებობს კონსენსუსი გაფართოებასთან დაკავშირებით. ამავე დროს, ვხედავთ პირდაპირ განცხადებებს, მაგალითად, უკრაინასთან დაკავშირებით, რომ აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, მაგრამ სად არის ქმედებები?**

**უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ამას ვუყურებთ უკრაინელი ხალხის მაგალითზე. ის საკუთარი უფლებისთვის, რომ იყოს ნატოს წევრი, ამისთვის სისხლს ღვრის უკვე სამ წელზე მეტია. სისხლს ღვრის და ნორმალურ პასუხსაც არ აძლევენ უკრაინელ ხალხს, რომ ბოლოს და ბოლოს, ან კი უთხრან ან არა. საქართველომ ნატოში საკუთარი წევრობისთვის ყველაფერი გააკეთა, როგორც ინსტიტუციურად, ასევე იმით, რომ ნატოს ომებში ვიყავით, როდესაც ნატოს წევრები იმალებოდნენ“,** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

## სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს
# ამერიკა სანქციებით ემუქრება!!!

**თუ არ იქნება პირობა, რომ ტრამპისა და მისი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მომავალში სამართლებრივი დევნა არ დაიწყება!**

**ტრამპის ადმინისტრაციას სურს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ შეცვალოს რომის სტატუტის სადამფუძნებლო დოკუმენტი, რათა უზრუნველყონ, რომ არ მოხდება გამოძიების დაწყება დონალდ ტრამპისა და მისი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ.**

როგორც „როიტერი“ ტრამპის ადმინისტრაციის წარმომადგენელზე დაყრდნობით წერს, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ისურვა, თუ სასამართლო არ შეასრულებს აშშ-ის ამ და კიდევ ორ მოთხოვნას, მათ შორის ისრაელის ლიდერების წინააღმდეგ ღაზაში ომის გამო გამოძიების შეწყვეტას და გამოძიების ოფიციალურად შეწყვეტას ამერიკულ შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ავღანეთში მათ მოქმედებებთან დაკავშირებით, ვაშინგტონმა, შესაძლოა, სანქციები დაადოს ორგანოს მაღალჩინოსნებს და ასევე თავად სასამართლოსაც.

აშშ-ში მიაჩნიათ, რომ ასეთი გამოძიებებით სასამართლო არღვევს მათ სუვერენიტეტს. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაკავების ორდერები აქვს გამოცემული ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს თავდაცვის ყოფილი მინისტრის იოავ გალანტისა და „ჰამასის“ ლიდერის იბრაჰიმ ალ-მასრის სახელზე ღაზის კონფლიქტში ჩადენილი სამხედრო დანაშაულების გამო.

2020 წლის მარტში კი პროკურორებმა გამოძიება დაიწყეს ავღანეთში ამერიკული არმიის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებთან დაკავშირებით. ამ ბრალდებების მოსახსნელად აშშ-მა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ცხრა წევრს სანქციები დაუწესა, მათ შორის მოსამართლეებსა და პროკურორებს. თუმცა, აშშ-ში შიშობენ, რომ 2029 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ყურადღება დონალდ ტრამპისკენ იქნება მიმართული.

ტრამპის ადმინისტრაციის წარმომადგენელს არ უთქვამს, კონკრეტულად რომელი საკითხები აღელვებს ადმინისტრაციას, რომლითაც შესაძლოა, გამოძიება დაინტერესდეს. აშშ-ს ძალისხმევა, შეცვალოს რომის სტატუტი, რათა დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნა, ნელი და რთული პროცესი იქნება და ქვეყნების ორი-მესამედის მხარდაჭერას საჭიროებს.

# ატლანტიკური განხეთქილება

ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები უპრეცედენტო კრიზისის წინაშეა. ის, რაც თავდაპირველად ტექნოლოგიური გიგანტის – „X“-ის (ყოფილი „ტვიტერის“) დაჯარიმებით დაიწყო, მალევე გადაიზარდა გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში, სადაც სასწორზე ევროპული ბიუროკრატიის მომავალი და სუვერენული სახელმწიფოების უფლებები დევს.



## ილონ მასკის „ომი“ ბრიუსელთან და ვაშინგტონის ახალი დოქტრინა

### მასკი ევროკავშირის წინააღმდეგ

**დაპირისპირების ეპიცენტრში ამერიკელი მილიარდერი ილონ მასკი აღმოჩნდა.**

ევროკომისიის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, მის კომპანიას 120 მილიონი ევროს გადახდა დაეკისრა, მასკმა უმწვავესი რიტორიკით უპასუხა. ევროკომისია „X“-ს „ციფრული სერვისების შესახებ“ აქტის (DSA) დარღვევაში ადანაშაულებს, კერძოდ, ფასიანი „გადამოწმებული მომხმარებლის“ სტატუსის გამო, რაც ბრიუსელის აზრით, მომხმარებელს შეცდომაში შეჰყავს.

ილონ მასკმა ევროკავშირს **„ბიუროკრატიული მონსტრი“** უწოდა და იგი პირდაპირ „მესამე რეიხს“ შეადარა. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტებში მასკი ღიად მოუწოდებს ევროპულ სახელმწიფოებს ბლოკის დაშლისა და სუვერენიტეტის დაბრუნებისკენ:

**„დროა, კონტინენტის სახელმწიფოებმა დაიბრუნონ საკუთარი უფლებები. ეს ბიუროკრატიული მანქანა, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს და თავისუფალ სიტყვას ებრძვის, არალეგიტიმურია“**, – აცხადებს მასკი.

### ვაშინგტონის ახალი სტრატეგია

**ამერიკელი ბიზნესმენის პოზიციას მოულოდნელად ზურგი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც გაუმაგრა.**

ვაშინგტონმა ბრიუსელს შეახსენა ახალი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ აშშ აღარ აპირებს ურთიერთობას „ევრობიუროკრატიასთან“ იმ სახით, როგორც ეს ბოლო ათწლეულის განმავლობაში ხდებოდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ევროკავშირი ამერიკელ ხალხზე თავდასხმაშიც კი დაადანაშაულა.

ბრიუსელის პასუხმაც არ დააყოვნა. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა **კაია კალასმა** ვაშინგტონის კრიტიკა შიდა საქმეებში ჩარევად შეაფასა:

**„ჩვენი რეგულაციები ემსახურება ევროპელი მომხმარებლების დაცვასა და დემოკრატიულ გამჭვირვალობას. დაუშვებელია გარე ძალების მხრიდან მცდელობა, ეჭვქვეშ დააყენონ ჩვენი სუვერენული კანონმდებლობა“**, – განაცხადა **კალასმა**.

### „ქოლგის გარეშე დარჩენილი ევროპა“

**მიმდინარე მოვლენებს საქართველოშიც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირი ცივილიზაციურ კრიზისშია.**

„ხალხის ძალის“ წევრის **ზურაბ ქადაგიძის** თქმით, ტრამპის ადმინისტრაციამ მსოფლიოს ახალი დოქტრინა შესთავაზა, რომელიც ეროვნულ ინტერესებზეა ორიენტირებული.

ქადაგიძე აღნიშნავს, რომ ევროკავშირს ორი გზა აქვს: **„ან გამოფხიზლდეს და მოაწყოს რებრენდინგი, ან ასეთი ფორმაციით არსებობას ვეღარ გააგრძელებს“**. მისივე აზრით, ტრამპმა მკაფიოდ დაანახა ევროპას მისი პრობლემები – უკონტროლო მიგრაცია, დემოგრაფიული კრიზისი და სუსტი ლიდერები.

**ირაკლი ზარქუა**, პარლამენტის დიასპორის კომიტეტის თავმჯდომარე, კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ აშშ-ის ახალი სტრატეგია ევროკავშირის ბიუროკრატების გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგია.

მისი თქმით, ევროპელი ლიდერები, როგორებიც არიან ემანუელ მაკრონი და ოლაფ შოლცი, საკუთარ ქვეყნებშიც კი ავტორიტეტშელახულები არიან და ვერ ახერხებენ ეროვნული ინტერესების დაცვას. ზარქუამ ხაზი გაუსვა ნატოს გაფართოების საკითხსაც, სადაც წლების განმავლობაში დაპირებების მიუხედავად, ევროპულმა ბიუროკრატიამ რეალური ნაბიჯები ვერ გადადგა.

ევროკავშირსა და აშშ-ს შორის მზარდი ნაპრალი მხოლოდ ერთი კომპანიის ჯარიმას არ უკავშირდება. ეს არის ფუნდამენტური დაპირისპირება ორ ხედვას შორის: ერთ მხარეს არის ბრიუსელის მკაცრი რეგულაციები და ბიუროკრატიული კონტროლი, ხოლო მეორე მხარეს – ვაშინგტონის ახალი სუვერენისტული კურსი და ტექნოლოგიური თავისუფლების მოთხოვნა.

მასკის ორთვიანი ვადა ჯარიმის გადასახდელად მხოლოდ დასაწყისია. თუ ევროკავშირი ვერ შეძლებს შიდა რეფორმირებას და ტრამპის ადმინისტრაციასთან საერთო ენის გამონახვას, შესაძლოა, ვიხილოთ ევროპული ერთობის რღვევა, რასაც ილონ მასკი ასე აქტიურად პროგნოზირებს. მიმდინარე პროცესებსა და ილონ მასკის გარშემო ატეხილ სკანდალს პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე აშშ-სა და ევროკავშირს შორის არსებული ურთიერთობების „ისტორიულ გარდამტეხ მომენტს“ უწოდებს. მისი შეფასებით, ვაშინგტონის მკაცრი ტონი და მასკის „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ბრიუსელის წინააღმდეგ ერთი დიდი სტრატეგიის ნაწილია.

**„აშშ-ის ახალი დოქტრინა, რომელზეც ვაშინგტონში უკვე ღიად საუბრობენ, ნიშნავს იმას, რომ ამერიკა აღარ აპირებს იყოს ევროპული ბიუროკრატიის უსიტყვო დამცველი და „უსაფრთხოების უფასო ქოლგა“. ეს არის პასუხისმგებლიანი, ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული სახელმწიფოს პოზიცია. ვაშინგტონი ხედავს, რომ ბრიუსელი, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი წევრი ქვეყნების უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნავდეს, იდეოლოგიურ დიქტატსა და ხელოვნური რეგულაციებით ბრძოლაშია გადართული. ილონ მასკის დაჯარიმება იყო ბოლო წვეთი, რომელმაც ამერიკას დაანახა, რომ ევროკავშირი ამერიკულ ინოვაციებსა და თავისუფალ სიტყვას ებრძვის“**, – აცხადებს **თამარ კიკნაძე**.

ანალიტიკოსის პროგნოზით, ბრიუსელსა და ვაშინგტონს შორის დაძაბულობა კიდევ უფრო გამწვავდება და ტონი უკიდურესად აგრესიული გახდება, რადგან ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ევროკავშირს აღარ განიხილავს, როგორც ერთიან, საიმედო სუბიექტს.

**„ევროკავშირი დღეს ცივილიზაციურ და პოლიტიკურ ჩიხშია, რასაც ამერიკული მხარე კარგად აცნობიერებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპული ლიდერშიფი არის უკიდურესად დასუსტებული, ავტორიტეტშელახული და ურეიტინგო. როდესაც ამერიკა აცხადებს, რომ აღარ გააგრძელებს ძველ პოლიტიკას, ეს ნიშნავს ევროკავშირისთვის „კომფორტის ზონის“ დასრულებას. ევროპას მოუწევს მტკივნეული არჩევანის გაკეთება: ან სრული რებრენდინგი, გამოფხიზლება და სუვერენიტეტის დაბრუნება ცალკეული სახელმწიფოებისთვის, ან გარდაუვალი დაშლა.**

**მასკის რიტორიკა და თეთრი სახლის პოზიცია მიუთითებს იმაზე, რომ ამერიკა პარტნიორებს უკვე არა ბრიუსელის ჩრდილოვან კაბინეტებში, არამედ კონკრეტულ სუვერენულ ქვეყნებში ეძებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი, თავისი დღევანდელი ბიუროკრატიული ფორმაციით, არსებობას ვეღარ გააგრძელებს. ეს არის დასასრული იმ ევროპისა, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით“**, – ამბობს ანალიტიკოსი.

თამარ კიკნაძის აზრით, ამერიკის ახალი დოქტრინა საქართველოსთვისაც ერთგვარი გზავნილია, რომ მსოფლიო წესრიგი იცვლება და აქცენტი ეროვნულ სახელმწიფოებსა და მათ სუვერენიტეტზე გადადის, რაც ევროპულ ბიუროკრატიასთან ურთიერთობის გადახედვას მოითხოვს.

**„საბოლოო ჯამში, ევროკავშირისა და აშშ-ის დაძაბული ურთიერთობა აჩვენებს, რომ ძველი პოლიტიკური „ქოლგები“ აღარ არის საიმედო. საქართველოს მოუწევს ამ ახალ, მრავალპოლარულ სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრება, სადაც მთავარი ღირებულება სუვერენიტეტი და პრაგმატული პარტნიორობა იქნება.**

**ილონ მასკისა და ევროკომისიის „ომი“ მხოლოდ დასაწყისია იმ პროცესისა, რომელიც შესაძლოა ევროპის სრული პოლიტიკური გადაფორმებით და ახალი გლობალური ალიანსების ჩამოყალიბებით დასრულდეს“**, – განაცხადა მან.

მოამზადა
**ლიკა ბერიკაშვილმა**

## ბრიუსელის კორუმპირებული ელიტა: „კატარგეიტის“ ახალი მოსმენები ევროპარლამენტის სისტემურ ლპობას ამხელს

**დღეს, 12 დეკემბერს, დაიწყება სასამართლო მოსმენები „კატარგეიტის“ (Qatargate) კორუფციულ სკანდალთან დაკავშირებით – მას შემდეგ, რაც ბელგიელმა გამომძიებლებმა პირველი რეიდები ჩაატარეს, უკვე სამი წელი გავიდა. ეს, რა თქმა უნდა, მიანიშნებს იმაზე, თუ რამდენ ხანს შეიძლება გაიწელოს ბრიუსელის უახლესი გამოძიება თაღლითობის ფაქტებზე.**

„კატარგეიტის“ საქმე ეხება სისხლის სამართლის გამოძიებას, რომლის ფარგლებში 2022 წლის ბოლოს ბრიუსელში მასშტაბური რეიდები ჩატარდა და დააპატიმრეს ნახევარი ათეული პოლიტიკოსი. მათ ბრალად ედებათ კატარისგან ქრთამის აღება, რათა სანაცვლოდ გავლენა მოეხდინათ ევროპარლამენტში კენჭისყრის შედეგებზე, ნავთობით მდიდარი ყურეს ქვეყნის სასარგებლოდ. მთავარი ეჭვმიტანილები არიან ყოფილი ევროპარლამენტარები: **ევა კაილი**, რომელმაც გასულ კვირას ბელგია გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ის პოლიტიკოსებისთვის „უსაფრთხო ადგილი არ არის“, და **ანტონიო პანცერი** – სოციალისტებისა და დემოკრატების (S&D) წევრები საბერძნეთიდან და იტალიიდან.




**ბრიუსელის საბრალდებო პალატას დაევალა შეაფასოს, ჩატარდა თუ არა სათანადოდ გამოძიება სავარაუდო მექრთამეობის ფაქტებზე. კვირის განმავლობაში თავიანთ არგუმენტებს საქმეში ჩართული 20-ზე მეტი მხარე წარმოადგენს. ისტებლიშმენტის ზოგიერთი წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ ბელგიელი პროკურორები გამოძიებას არასაკმარისად კარგად ატარებენ. როგორც „ევროპის სახალხო პარტიის“ (EPP) ერთ-ერთმა ევროპარლამენტარმა Politico-ს განუცხადა, ბრალდებები შესაძლოა „ოდნავ გაზვიადებული“ იყოს.**

**მართლაც, ევროპარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გასულ კვირას მხარი არ დაუჭირა სკანდალში ბრალდებული იტალიელი სოციალისტი კანონმდებლისთვის იმუნიტეტის მოხსნას და მიზეზად ბელგიელი პროკურორების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების არასაკმარისობა დაასახელა. საქართველოში „ევროპული ბიზნესასოციაციის“ თანადამფუძნებელმა დევიდ ლიმ, ეს ფაქტი შეაფასა, როგორც „ბრიუსელის კორუმპირებული ელიტისთვის“ დამახასიათებელი ქმედება.**

**ნორვეგიელმა მწერალმა ერიკ დეილმა, რომელიც წარსულში ევროკომისიის მრჩეველი იყო, „კატარგეიტის“ სასამართლო მოსმენების წინ დასძინა, რომ „მხილებები ევროპარლამენტის გულში არსებული კორუფციის შესახებ თავზარდამცემია და ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად საჭიროა ძირეული რეფორმა ნდობისა და სუვერენიტეტის აღსადგენად“. თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ „სისტემა შექმნილია ცვლილებების თავიდან ასაცილებლად“, რაც ამომრჩევლებს შესაძლოა გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდეს და კიდევ ერთ არგუმენტს სძენს დისკურსს, რომელიც ევროკავშირის ამჟამინდელ ფორმას ეჭვქვეშ აყენებს.**

# ვიცოდეთ წარსული, თვალი გავუსწოროთ მომავალს



**დავით ახლოური,**
საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი

## მიდელაანთ იოსება

**„იოსებ გიგოს ძე მიდელაშვილი
1902-1985.
ოჯახისაგან“ – მხოლოდ ეს წარწერა შეიძლება წლების მერე ამოიკითხოს ახალგორის ოკუპირებულ სოფელ მიდელაანის სასაფლაოზე მარმარილოს ქვასთან ჩავლილმა მგზავრმა, წაიკითხოს და შენდობა ბრძანოს, როგორც ეს ქრისტიანული ადათით გვჩვევია. არადა, რამდენი რამ შეიძლება ითქვას ამ გულმართალ და პატიოსან მთიელ გლეხკაცზე, რომელიც მთელი ცხოვრება უშურველად ემსახურა თავის ქვეყანას.**

დაიბადა გიგო მიდელაშვილის ოჯახში, კაცის, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი იყო. ამის გამო, ოჯახთან ერთად, ახალგაზრდობიდან განიცდიდა დევნას, შევიწროებას..

მერე – მეორე მსოფლიო ომი....

გიგოს ოთხი ვაჟი გაიწვიეს ფრონტის წინა ხაზზე, მათგან ერთი ნიკოლოზ (კოლა) მიდელაშვილი ომიდან აღარ დაბრუნებულა.

იოსები 1942 წელს წასულა ომში. რამდენიმე თანასოფლელთან ერთად სამხრეთით გოლგოლეთის ტერიტორია გაუვლია, თითოეულ მათგანს გზად რამდენიმე ახლად ამოსული ხის ნერგი სახელობითად მოუნიშნავს. ვინც დაბრუნდებოდა, უნდა მოსულიყო და ენახა, რომელი იხარებდა...

ომიდან იოსები დაბრუნდა, გახარებულიც მისი ხე იყო მხოლოდ. ომში მსროლელთა პოლკში მსახურობდა, პრიმორსკისთან დაჭრილა. ხშირად ყვებოდა, როგორ მოვიდა გონზე, როგორ იყო თაკარა მზეში მიწაზე ჭრილობით შეწებებული.

მაინც მოუხერხებია ფეხზე დადგომა.

ბრძოლის ველი დახოცილი ჯარისკაცებით ყოფილა მოფენილი. იქვე უწესრიგოდ ეყარა თურმე იარაღი, სხვადასხვა ნივთები, ფული და გაუფიქრია მაშინ, როგორ წარმავალი იყო ყველაფერი და როგორ ძვირფასი – წუთი წუთისოფელში... უახლოეს მედპუნქტამდე მისულს გონება ისევ დაუკარგავს, მაგრამ, მთავარია, უკვე სამშვიდობოს იყო.

უმკურნალიათ, ფეხზე დაუყენებიათ და 1943 წლის 28 მარტს სამშობლოში დაბრუნების ნება დაურთავთ...

გზად ხიდი უნდა გაევლო თურმე.

მოპირდაპირე მხრიდან ხიდზე სატვირთო მანქანა შემომდგარა.

გზა დაუთმია.

მანქანიდან ვიღაც მოსალმებია – გამარჯობა იოსებ, გილოცავ მშვიდობიან დაბრუნებასო.

მშვიდობა ერქვა მაინც იქ გადარჩენას...

რა თქმა უნდა, ვინმე ახლობელი იქნებოდა, თანასოფლელი ან თანახეობელი.

წამიც და დანაღმულ ხიდზე მანქანა აფეთქებულა.

უარესად სევდამოძალებული დაბრუნებულა დაჭრილი ჯარისკაცი ბრძოლის ველიდან.

ომიდან დაბრუნების შემდეგ იოსებს რამდენიმე შვილი კიდევ შეეძინა, მათ შორის ჩემი ძვირფასი დედა – თამარ მიდელაშვილი.

იოსებს და მის მეუღლეს ქეთევან პავლიაშვილს ოთხი ქალიშვილი ჰყავდათ: ნინა, ლიზა, მარიამი და თამარი, მაგრამ როგორც ბებო ამბობდა, შვილები სიკვდილს გაეყო – ოთხი შვილი მცირეწლოვანი გარდაცვლილა.

საოცარი ერთგულება იცოდა პაპამ. მისი მეგობრები იხსენებდნენ, ერთხელ მუხრანში შემოღამებიათ, ოჯახის დიასახლისს, სადაც ღამე უნდა გაეთენებინათ, იოსები მოსვლია თვალში - ლამაზი კაცი იყო, საშუალოზე მაღალი, მოხდენილი ტანის.

განაწყენებულა პაპა, როგორ მაკადრესო ცოლის ღალატი და მთელი ღამე ფეხით უვლია ახალგორისკენ მომავალს.

ისტორიკოსი ვ. ქენქაძე წიგნში „ქსნური ხალხური ფაბლიო“ იხსენებს XX საუკუნის მიდელაანს: **„თვალწინ მიდგას ჩემი ბავშვობის დროინდელი გასული საუკუნის 60-70 წლების სოფლის წელში მოხრილი, თეთრწვერა მოხუცები. მახსოვს ქალამანგაცვეთილები, საკერებელიან შარვალ-ხალათებში, მახსოვს შრომითა და ჯაფით ხელებდახეთქილები, ბურნუთის მწეველი, ხალხურ მედიცინაში გათვითცნობიერებული ბებიები, თამბაქოღეჭია პაპები, შრომაში გართულები, ქეიფში შემღერებულები, ლხინში დინჯად მავალნი და ჭირში ფეხაჩქარებულნი. კარგად მახსოვს სოფლის ძველი ხალხი“...**

ავტორი „ძველი ხალხის“ ჩამოთვლისას პირველ რიგში პაპას ახსენებს: **„წელში ნაჯახგაყრილი, მობუზღუნე იოსება“...** მეც ასეთი მახსოვს პაპაჩემი, სულ საქმეში, სულ მუშაობაში გართული.

მთაში საუკეთესო ვაჟკაცად მას თვლიდნენ, ვინ კარგი მთიბავი ან კარგი მეცხვარე იყო. მთიბავები უფრო „შინა კაცებად“ სახელდებოდნენ. მეცხვარეები, ძირითადად, ცხვართან ყიზლარში ან საზაფხულო საძოვრებზე იმყოფებოდნენ. პაპა სათიბში მთელი დღე ისე მუშაობდა, დაღლას არ იმჩნევდა, წელში არ იხრებოდა, არც „მხრეულის“ ჩატანისას სჩვეოდა შესვენება. პირველი იყო თავის საქმეში და პირველად დარჩა დღემდე ქსნის ხეობელთა ხსოვნაში.

**(დასასრული იქნება)**


სოფელი მიდელაანი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №108, 109-110, 111-119, 120-121, 123, 125, 126, 145, 150, 157-158

## თსუ-ში „გეორგიკას“ გამოცემა განახლდება

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას თაოსნობით ქართველოლოგიური კვლევების ჟურნალის „გეორგიკას“ გამოცემა განახლდება.**

განახლებული გამოცემა „გეორგიკა – ქართველოლოგიური კვლევების ჟურნალი“ (Georgica – Journal of Georgian Studies) გამოვა ინგლისურ ენაზე და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქართველოლოგიური კვლევების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებასა და ჟურნალის საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებას. თსუ-ში ჟურნალის ვებგვერდის (https://georgica.journals.humanities.tsu.ge) პრეზენტაცია გაიმართა და სამეცნიერო სტატიების მიღება გამოცხადდა.

**„გეორგიკა“ თსუ სამეცნიერო ჟურნალების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში აღდგა. „ქართველოლოგია, მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტშია წარმოდგენილი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, ქართველოლოგიას პოპულარიზაცია სჭირდება. ჟურნალის მიზანია, ქართველოლოგიური კვლევები მაქსიმალურად გავაცნოთ მსოფლიოს წამყვან ცენტრებში. ეს არის ეროვნული მნიშვნელობის გამოცემა. მსოფლიოში სადაც არ უნდა იყოს ქართველოლოგიური კვლევები, ამ კვლევების ცენტრი მაინც არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში,“** – განაცხადა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა, თსუ რექტორმა **ჯაბა სამუშიამ.**




ინგლისურენოვანი ელექტრონული სამეცნიერო ქართველოლოგიური ჟურნალი „გეორგიკა“ წელიწადში ორჯერ გამოიცემა და მას ბეჭდური ვერსიაც ექნება. ჟურნალი შექმნილია SCOPUS -ისთვის დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით. ქართველ მეცნიერებთან ერთად „გეორგიკას“ სარედაქციო კოლეგიაში უცხოელი ქართველოლოგებიც არიან.

ჟურნალი „გეორგიკა“ (Georgica) 1977 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომლობით, გერმანელი ენათმეცნიერის ჰაინც ფეინრიხის ინიციატივით დაარსდა. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში 1978-2017 წლებში ჟურნალის 38 ნომერი გამოიცა. მასში ქვეყნდებოდა სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ეხებოდა ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის სხვადასხვა საკითხს, მათ შორის ფილოლოგიას, ფილოსოფიას, ისტორიას, არქეოლოგიას, ხელოვნებასა და ეთნოლოგიას. სტატიები გერმანულ ენაზე იყო წარმოდგენილი. განახლებული ჟურნალის ვებგვერდზე შენარჩუნდება გერმანულენოვანი გამოცემების არქივი და ისტორია. საზღვარგარეთ დაბეჭდილ ქართველოლოგიურ გამოცემებს შორის ჟურნალს ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა. დღეისთვის საერთაშორისო დონის ერთადერთი ჟურნალი ქართველოლოგიაში არის „პროგეორგია“, რომელსაც დავით ყოლბაიას ძალისხმევით გამოსცემს ვარშავის უნივერსიტეტი.

## იდა თვარაძის (მონაზონი ზოილე) საიუბილეო რეტროსპექტული გამოფენა

**დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა, 17 დეკემბრიდან 2026 წლის 1 თებერვლის ჩათვლით, მხატვარ იდა თვარაძის (მონაზონი ზოილე) (1940 – 2006) საიუბილეო რეტროსპექტულ გამოფენას მასპინძლობს.**

ეროვნული გალერეის ინფორმაციით, გამოფენა 17 დეკემბერს, 18.00 საათზე გაიხსნება. ვერნისაჟთან ერთად გალერეაში მხატვრის ალბომსაც წარადგენენ.

იდა თვარაძემ 1972 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის მონუმენტური ქანდაკების ფაკულტეტი. შესრულებული აქვს ქანდაკებები – იოანე პეტრიწი, კაბადოკიელი, ჯვარცმა, ანა კალანდაძე. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ვეღარ აგრძელებს ქანდაკებაზე მუშაობას და იწყებს ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების შექმნას.

1974-1980 წლებში მუშაობდა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მხატვარ-რესტავრატორად. მონაწილეობდა სვეტიცხოვლისა და გელათის ტაძრების მოხატულობების საკონსერვაციო სამუშაოებში. იმავე წლებში თანამშრომლობდა საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ნივთების აღწერის, ბიბლიოთეკისა და არქივის მოსაწესრიგებელ სამუშაოებში. ეკლესიასთან თანამშრომლობის გამო მუზეუმის ადმინისტრაციამ სამსახურიდან დაითხოვა. 1980 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო საქართველოს საპატრიარქოს ხატწერისა და რესტავრაციის განყოფილების ხელმძღვანელი. 1993 წელს იგი მონაზვნად აღიკვეცა და სახელად ზოილე უწოდეს. მისი ნამუშევრების დიდი ნაწილი დაცულია საქართველოს საპატრიარქოში, ნაწილი – კერძო კოლექციებში. დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში.



საქართველოს რესპუბლიკა
უკომენტაროდ!
№164. პარასკევი, 12 დეკემბერი, 2025 წელი

# ოფიციალური თბილისი რუსეთისკენ მიმავალ ტვირთებს აფხაზეთის გავლით არ გაატარებს!




**თბილისი მტკიცე უარით პასუხობს მოსკოვის მიერ ინიცირებულ გეგმას, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში, ენგურის ხიდთან ახალი საბაჟო ტერმინალის მშენებლობასა და ტვირთების ტრანზიტის ამოქმედებას გულისხმობს. საქართველოს ხელისუფლებამ კრემლს მკაფიო მესიჯი გაუგზავნა – რუსეთისკენ მიმავალ ტვირთებს, რომელმაც აფხაზეთი უნდა გაიაროს, საქართველო არ გაატარებს და ე.წ. „სახელმწიფო საზღვრის“ აღიარებაზე საუბარიც კი გამორიცხულია!**

# საქართველო კრემლის გეგმას უარყოფს!

**პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ „ეხო კავკაზას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომელიც ოკუპირებული სოხუმის მზაობაზე მიანიშნებს, მკაფიო განცხადება გააკეთა და გავრცელებულ ცნობებს „სპეკულაცია“ უწოდა.**

მისი თქმით, საქართველოს მხრიდან არ გადადგმულა არავითარი ნაბიჯი ტვირთების გადაზიდვის შესაძლებლობის აღდგენასთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაადასტურა, რომ ამ ტვირთებს არ გაატარებს! ეს არის მტკიცე პოზიცია, რომელიც კრემლის ამბიციური გეგმის წინ აღმართულ ქართულ ბარიერად აღიქმება.

**„ჩვენ არავითარ ე.წ. სახელმწიფო საზღვარს არ ვაღიარებთ, ეს არის სრული სიყალბე. აქედან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან ამაზე ვერ იქნება საუბარი. თქვენ, თავის დროზე, გახსოვთ, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, ხელი მოეწერა კონკრეტულ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც, მაშინდელმა ხელისუფლებამ თანხმობა მისცა რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე და მაშინ იყო ეს შეთანხმება, რომ შვეიცარიის შუამავლობით უნდა შექმნილიყო ტვირთების გადაზიდვის შესაძლებლობა, თუმცა მას შემდეგ, ეს საკითხი არის გაჩერებული და ჩვენი მხრიდან არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა ამასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი არის სპეკულაციები“,** – განაცხადა პრემიერმა.

დამატებით კითხვაზე, ადასტურებს თუ არა, რომ საქართველო რუსეთის მიმართულებით ტვირთებს არ გაატარებს, კობახიძემ განაცხადა: **„გიდასტურებთ, რომ არ გავატარებთ!“**

ეს კრემლის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ პროექტია, თუ აფხაზეთის მორიგი აღიარება? ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ენგურის ხიდთან ახლად აშენებული საბაჟო ტერმინალი ტვირთების გასატარებლად „ჰიპოთეტურად მზად არის“, ოკუპირებულ აფხაზეთში ტრანზიტულ-ლოჯისტიკური კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, **ასტამურ ახსალბამ** ადგილობრივ გამოცემასთან ინტერვიუში დაადასტურა. ახსალბა, რომელიც ასევე რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივით შექმნილი ევრაზიული ინტეგრაციის პლატფორმის – „მსოფლიო ხალხთა ასამბლეის“ ხელმძღვანელია, აღნიშნავს, რომ მშენებლობა თითქმის დასრულებულია და დარჩა მხოლოდ ტექნიკური აღჭურვა.

მან საჯაროდ აღიარა, რომ პროექტის შესახებ ინფორმაცია რთული გეოპოლიტიკური ვითარების გამო გამიზნულად იმალებოდა, ვინაიდან რუსეთის უკრაინაში შეჭრისა და ომის დაწყების შემდეგ, ეს პროექტი „სასიცოცხლოდ აუცილებელი“ გახდა სტრატეგიული პარტნიორი – რუსეთისთვის.

ახსალბას თქმით, სატრანზიტო ჰაბის შექმნის იდეა ძველ შეთანხმებას უკავშირდება. მოსკოვსა და სოხუმს შორის საბაჟო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება 2010 წელს გაფორმდა, რომელიც, მათ შორის, სპეციალიზებული საბაჟო ორგანოს შექმნის შესაძლებლობას გულისხმობდა. ახალი ობიექტი გალში, რუსი და აფხაზი მეწარმეების კერძო ინვესტიციაა.

პროექტის ავტორთა გათვლებით, სატრანზიტო დერეფნით ისარგებლებენ ირანი, ინდოეთი, აზერბაიჯანი – ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან უმოკლესი მარშრუტებით სამხრეთ რუსეთის რეგიონებამდე. ახსალბა არ გამორიცხავს ევროპული ქვეყნების ინტერესსაც, ვისთვისაც ეს, სანქციების ფონზე, რუსეთთან ვაჭრობის შესაძლებლობა იქნებოდა. თუმცა, მან დაადასტურა, რომ ამ დერეფნით სარგებლობა ეკრძალებათ მძღოლებს საქართველოს მოქალაქის პასპორტით, ვიდრე „არ დამყარდება კეთილმეზობლური ურთიერთობა“.

* * *

**საქართველოს მთავრობის მტკიცე უარი არის გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც ხელს უშლის რუსეთის მცდელობას, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების საშუალებით მოახდინოს ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსის ლეგიტიმაცია და დამატებითი ზეწოლა რეგიონზე.**

პრემიერის განცხადება ნათელს ხდის, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს წინა ხელისუფლების პირობებში (როდესაც შვეიცარიის შუამავლობით ტვირთების გადაზიდვის შესაძლებლობაზე იყო საუბარი) მიღწეულ შეთანხმებებზე დაყრდნობით, ახალი ნაბიჯის გადადგმას, რომელიც ოკუპაციას გაამყარებს.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** For.ge-სთან ამბობს, რომ ეს ამბავი იმ პრობლემის გამოხატულებაა, რაც ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციის სახით გვაქვს. ზარდიაშვილი მიიჩნევს, რომ ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერანაირ საბაჟოს ვერ ვაღიარებთ.

**„ენგურის ხიდის აქეთაც და იქითაც საქართველოა, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება არაფერს არ აღიარებს. იქ არანაირი ტვირთის გატარება არ მოხდება და საქართველოს ხელისუფლება ამას არ დაუშვებს. ფაქტია, ეს შესაძლოა პროვოკაცია იყოს, თუმცა რა არის ამ პროვოკაციის მიზანი, გამოჩნდება. ვითარება ასეთია, რომ ამ მსოფლიო არეულობაში, სანამ ვითარება არ დამშვიდდება და დაწყნარდება, სანამ მსოფლიო წესრიგის ახალი კონტურები არ გამოიკვეთება, ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ამ სიტუაციას სტრატეგიული მოთმინებით შევხვდეთ. უნდა ვეცადოთ, რომ რამე ისეთი არ ჩავიდინოთ, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვება. თავიდან იქნას აცილებული რაიმე სახის სამხედრო პროვოკაციები, რასაც საქართველო რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების დღიდან უმკლავდება და ამის თავიდან არიდებას დიდი ძალისხმევის შედეგად ახერხებს“,** – ამბობს **ზარდიაშვილი.**

მისივე თქმით, საქართველო ტვირთს არ გაატარებს და ის საბაჟო იქნება უფუნქციო. არანაირ ვაჭრობაზე ხელისუფლება არ წავა, თუკი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაცია არ მოხდება. ამას კი, ფაქტია, რუსეთი არ აპირებს. შესაბამისად, ხელისუფლების ქმედებაც იგივე იქნება.

**„ვიცით ჩვენი ოპოზიციისა და დასავლელი პოლიტიკური წრეების ნარატივი, ვითომ საქართველოს ხელისუფლება პრორუსულია და „კრემლიდან იმართება“. ეს რომ ერთი დიდი აბსურდია და ბუშტივით სკდება მათი პოლიტიკური ნარატივი, ხომ ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს?! ეს ბრალდებები რომ აბსურდია, ხომ ცხადია?! საქართველო რუსეთთან დაუსრულებელი კონფლიქტის პირობებში იმყოფება. ცეცხლის შეწყვეტა გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაიმე საზავო ხელშეკრულება დავდეთ და ომი დასრულდა. საომარი მიზეზი ისევ არსებობს, ბუნებრივია, არანაირი პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობა არ იქნება. ეს საბაჟოს თემა იმაზე აბსურდულია, ვიდრე BBC-ის მიერ გავრცელებული სიუჟეტი. წარმოუდგენელია, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ ნაბიჯზე წავიდეს“,** – ამბობს **ზარდიაშვილი.**

ლიკა ბერიკაშვილი

## რომის პაპი ტრამპის განცხადებებმა დააღონა!



**რომის პაპმა ლეო XIV-მ განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის გოლოდროინდელი განცხადებები ევროპის შესახებ ალიანსის დაშლის მცდელობაა.**

პაპმა ლეომ დასძინა, რომ ევროპის როლი უკრაინაში მშვიდობის მიღწევაში მნიშვნელოვანია.

**„ევროპის მოლაპარაკებებში ჩართვის გარეშე სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა არარეალურია, იმის გათვალისწინებით, რომ ომი ევროპაში მიმდინარეობს. ევროპა ამის ნაწილი უნდა იყოს და სამწუხაროდ, ყველას არ ესმის ეს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ევროპელი ლიდერებისთვის დიდი შესაძლებლობაა გაერთიანდნენ და ერთად ეძებონ გამოსავალი“,** – განაცხადა მან.

პაპმა უკრაინის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მათ ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობა განიხილეს.

## ჩერნობილი ისევ პრობლემად რჩება!

**გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო უკრაინის მიერ ინიცირებული რეზოლუცია ჩერნობილის კატასტროფასთან დაკავშირებით, დოკუმენტს 97-მა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, დაუჭირა მხარი.**

აშშ-მა, რუსეთმა, ბელარუსმა და კიდევ ხუთმა ქვეყანამ რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა, 39-მა ქვეყანამ კი თავი შეიკავა.

დოკუმენტის სახელწოდებაა **„ჩერნობილის კატასტროფის შედეგების შესწავლის, შემცირებისა და მინიმიზაციის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობისა და ძალისხმევის კოორდინაციის გაძლიერება“.**

მიღებული რეზოლუცია აღიარებს ავარიის ხანგრძლივ სერიოზულ შედეგებს და დაზარალებული თემების მხარდაჭერის აუცილებლობას. ტექსტში ასევე გამოთქმულია შეშფოთება დაზიანებული ენერგობლოკის თავზე დამცავი სარკოფაგის დაზიანების გამო 2025 წლის თებერვალში რუსეთის დრონის თავდასხმის შედეგად, რამაც საფრთხე შეუქმნა ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მიმართ საერთაშორისო ძალისხმევას.

**„მადლობას ვუხდით 97-ვე წევრ სახელმწიფოს მხარდაჭერისთვის. სამწუხაროდ, რუსეთმა კიდევ ერთხელ სცადა თავისი თანამგზავრის, ბელარუსის გამოყენება თავისი დანაშაულების დასამალად და ალტერნატიული ტექსტის წარსადგენად, რომელშიც ჩერნობილის ობიექტებზე თავდასხმების შესახებ არანაირი ხსენება არ იქნებოდა. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც არ გადგა განზე და უარი თქვა ბელარუსის პროექტის მხარდაჭერაზე“,** – წერს **სიბიგა.**

# 2019 წლის 20-21 ივნისის აქციის საქმეებზე სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ გადაწყვეტილება გამოიტანა

**– ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.**

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლებაა, გამოიყენოს სპეციალური საშუალებები, როდესაც ადგილი აქვს სამართალდამცველებსა და სახელმწიფო ორგანოებზე თავდასხმასა და შტურმს.



**„საქმეზე „ცაავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საჯარო სხდომაზე 2025 წლის 11 დეკემბერს, გამოცხადდა.**

**საქმე ეხება 2019 წლის 20-21 ივნისს გამართულ აქციებს და აღნიშნული დემონსტრაციის შეწყვეტას სპეციალური საშუალებების გამოყენებით.**

**დღევანდელი გადაწყვეტილებით დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლებაა, გამოიყენოს სპეციალური საშუალებები, როდესაც ადგილი აქვს სამართალდამცველებსა და სახელმწიფო ორგანოებზე თავდასხმასა და შტურმს. გადაწყვეტილებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ 20 ივნისის დემონსტრაციის დროს ესკალაცია და პარლამენტზე შტურმი წაახალისეს ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა.**

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ძალა და სპეციალური საშუალებები მიმართული უნდა ყოფილიყო იმ დემონსტრანტების მიმართ, რომელთა ქმედებაც იყო ძალადობრივი. შესაბამისად, იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო ამ სტანდარტის დაცვა და პროპორციული ძალის გამოყენება დემონსტრანტების მიმართ დადგინდა ევროპული კონვენციის მე-3 (არასათანადო მოპყრობა), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-11 (შეკრების თავისუფლება) მუხლების დარღვევა.

**დიდი პალატის გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობამ საქმის განხილვის ფარგლებში სრულად ითანამშრომლა სტრასბურგის სასამართლოსთან, მიაწოდა ყველა საჭირო ინფორმაცია და მასალები, რის გამოც არ დაკმაყოფილდა მომჩივნების მოთხოვნა ამ ნაწილში ევროპული კონვენციის დარღვევის მიმართულებით.**

**სასამართლოს დიდმა პალატამ საჭიროდ არ მიიჩნია კონვენციის მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) ფარგლებში საჩივრის განხილვა.**

**საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა ჯერ კიდევ 2024 წლის 7 მაისის პალატის გადაწყვეტილებით დადგენილი გამოძიების ხარვეზები და დაიწყო შსს-ის ხელმძღვანელობის მიერ ოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის გამოკვლევა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან მისი შესაბამისობის დასადგენად. აღნიშნული გამოძიების შედეგად 2025 წლის 12 ნოემბერს საქართველოს პროკურატურამ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრ გიორგი გახარიას მიმართ. საქმის თაობაზე გამოძიება გრძელდება“,** – წერია ინფორმაციაში.

# პოლიციის ბოროტი უფროსი დაიჭირეს!



**შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუახევის რაიონული სამმართველოს უფროსი და ამავე სამმართველოს დეტექტივების განყოფილების უფროსი დააკავა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე (სსკ. 332-ე მუხლი) ორი პირი დააკავეს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის შუახევის რაიონული სამმართველოს უფროსმა ოთხ პირს მისი კერძო საკუთრებიდან დიდი ოდენობით ხის მასალის ქურდობა დააბრალა. სამინისტროს განმარტებით, მან, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, აღნიშნულ პირებს მოსთხოვა, აენაზღაურებინათ ზიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაჭერით დაემუქრა.

შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა მუქარა რეალურად აღიქვეს და მიუხედავად იმისა, რომ მათ ქურდობაში ბრალი არ მიუძღვოდათ, იძულებული გახდნენ, მისთვის დიდი ოდენობით ხის მასალა მიეტანათ.

**„გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის შუახევის რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილების უფროსი აჭარის რეგიონში, სამთო-სათხილამურო კურორტ „გოდერძიზე“, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, საკუთარი კოტეჯების ასაშენებლად სამსახურებრივ უფლებამოსილებას ბოროტად იყენებდა, კერძოდ კი, მითითებულ ტერიტორიაზე სხვადასხვა სამშენებლო და ხე-ტყის მასალის უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის სისტემატურად იყენებდა სამსახურებრივ ავტომანქანებს, აღნიშნულის განხორციელებას თანამდებობრივი ავტორიტეტის ბოროტად გამოყენებით ავალებდა დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს.**

**სამართალდამცველების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ხე-ტყის მასალა“,** – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

**28 ნოემბერს, როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს პარლამენტის შოთა რუსთაველის სახელობის დარბაზში გაიმართა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კოტე მაყაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა კოტე მაყაშვილზე, იმ წონად წვლილზე, ამ დახვეწილმა და მეტად კოლორიტულმა პიროვნებამ რომ შეიტანა ქართული მწერლობისა და არამარტო მწერლობის განვითარებაში.**

# სინდისი ქართული მწერლობისა



საიუბილეო საღამოზე გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი**, პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი გაბუნია**, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი სოსიაშვილი,** საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეები **რევაზ მიშველაძე, ბადრი ქუთათელაძე**, მწერალი **ზაალ ბოტკოველი,** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულია...**

გამომსვლელები ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიებდნენ კოტე მაყაშვილს, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ თავმჯდომარეს, რომლის პიროვნებაც, რომლის ღვაწლიც მხოლოდ მოწიწებისა და თაყვანისცემის გრძნობას აღძრავს ყველაში, ვინც კი ამ ტრაგიკული პიროვნების საქმიანობას გაეცნობა.

გამომსვლელელებმა გაიხსენეს პოეტის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „O, STELLA“...

**წარსულის კუთხიდან...**
**არ დაგლიტ ახსნებით**
**სტუდენტი... შორეთში...**
**ცივა და ბნელა...**



**ვნაღვლობ და ვოცნებობ,**
**ვჩურჩულებ აღგზნებით**
**O, stella animal, divina stella!**

**ქალია მნათობი ის, თუ სხვა რამეა?!**
**ეს კია, თვალთაგან ცრემლი**
**მდის ნელა...**

**შევნატრი შუქოსანს, თუმც გულში**
**ღამეა,**
**O, stella animal, divina stella!**

**ვიგემე სიტკბონი, ტანჯვათა ქუხილიც...**
**ცხოვრება ვსთელე მე, იმანაც მთელა!**
**დავმარხე ნატვრანი და დამრჩა**
**წუხილი:**
**O, stella animal, divina stella!**

**მიხმობენ თავისკენ უფსკრულის**
**ლალები,**
**კარებთან მოისმის სიკვდილის ხველა...**
**მე შენკენ მიპყრია მლოცველი თვალები;**
**O, stella animal, divina stella!**

საიუბილეო საღამოს მონაწილეებმა ჩამოთვალეს, თუ როგორ „თელავდა“ ეს თხემით ტერფამდე დახვეწილი ინტელიგენტი ცხოვრებას: იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე, ერთ-ერთი დამაარსებელი და გამგეობის წევრი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებისა, დამაარსებელი ქართული ფილარმონიული საზოგადოებისა, დამაარსებელი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, ერთ-ერთი დამაარსებელი ქართული დრამატული საზოგადოებისა, დამაარსებელი „აკადემიური მწერლობის“ კავშირისა, ინიციატორი სათავადაზნაურო დაწესებულებასთან განსაკუთრებული ფონდის დაარსებისა, რომელმაც შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა რამდენიმე მომავალი კლასიკოსი ქართული მწერლობისა. მაგალითისთვის თუნდაც დიდი გალაკტიონის გახსენებაა საკმარისი.

აი, ცხოვრებამ კი, ბედისწერამ, მართლაც უმოწყალოდ, დაუნდობლად სთელა ეს გულანთებული პატრიოტი მშობელი ქვეყნისა: წაართვა სამშობლო, რომლის თავისუფლებასაც მუხლმოდრეკილი შესთხოვდა უფალს, სამშობლო, რომელიც შემდგომ ლამის ერთი საუკუნე ძიძგნეს სატანის სახემიღებულმა ნაძირალებმა; წაართვა ერთადერთი ქალიშვილი – მარო, სრულიად ნორჩი გოგონა, რომელიც თავის გატანჯულ ქვეყანას შესწირა; წაართვა სიცოცხლით ტკბობის სურვილი...

და მაინც...

კოტე მაყაშვილი, უპირველესად პოეტი იყო, პოეზიით სუნთქავდა, პოეზიით სულდგმულობდა, პოეზია იყო მისი არსებობის ანი და ჰოე.

საიუბილეო საღამოზე ითქვა, რომ ამ დიდებულ ქართველს სრულად ჰქონდა გასიგრძეგანებული ქართული მწერლობის როლი და მნიშვნელობა თავისი სამშობლოსათვის:

**„მწერლობა ეოლოსის ქნარია, რომლის ყურმახვილი და ხმატკბილი სიმები თავისთავად აღბეჭდავენ ხალხის ყოველივე სულიერ მოძრაობას, მისი ლხენის ფშვინვას და სევდის ამონაკვნესს; იგი ერთგვარი პრიზმაა, რომელშიც იტეხება და საუცხოო ნაირფერებად ლივლივებს ერის შინაგანი, რთული სილამაზე... საქართველოს წარსულ საუკუნეთა ბინდი გაარღვია და გააბნია სხივოსანმა რუსთაველმა, რომელმაც ქართული პოეზია ერთი ძლიერი მოქნევით ასტყორცნა მსოფლიო პოეზიის მწვერვალებზე და მით უკვდავყო, აზიარა მარადისობას თავისი სამშობლო, გაამართლა მისი არსებობა...“**

საიუბილეო საღამოზე მსახიობებმა ლიკა ქობულაძემ, ელდინო საღარაძემ, ზვიად დოლიძემ წაიკითხეს პოეტის ლექსები.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოიცა კოტე მაყაშვილის წიგნი-ალბომი, რომლის შემდგენლებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რათა ქართველი ხალხის წინაშე ღირსეულად წარმოჩენილიყო ამ დიდებული შემოქმედის სულიერი მემკვიდრეობა.

**ზალიკო დიდიძე**




# საფეხბურთო მოზაიკა

**რევანში რომ სპორტის შემადგენელი ნაწილია, უამრავი მაგალითი მოწმობს და გამონაკლისს არც ჩვენი აწმყო წარმოადგენს.**

უფრო კონკრეტულად, იბერიამ გორის დილას წლეულს კრისტალზეთ ეროვნულ ლიგაში ოთხივე თამაში მოუგო და ზედიზედ მეორედ მოიხვეჭა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, მაგრამ **დავით ყიფიანის** სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალში მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა.

**იბერია – დილა 1:3**

**გოლები:** ჯგერენაია; აგიაკვა, კონტე, ჯგერენაია (საკუთარ კარში).

აქამდე ორწლიანი ინტერვალით მასპინძლებს სამივე სატიტულო ჯახი ჰქონდათ მოგებული (2019, 2021, 2023), ტრადიცია კი ამჯერად დაირღვა და მასთან ერთად დუბლზე ოცნებაც, ხოლო შიდაქართლელთა ერთადერთი ტრიუმფი 2012 წლის სეზონით თარიღდება. სამაგიეროდ, **ლუიჯი ლონგოს** გუნდმა სათასო წარმატებით აღნიშნა საქართველოს ასევე ერთადერთი ჩემპიონობის 10-წლიანი იუბილე.

მოკლედ, ვულოცავთ დილას ღირსეულ რევანშს.

* * *

**შური და ბოღმა – სხვას ვერაფერს ვუწოდებთ იმ ღორობას, რითაც ზოგზოგიერთები გამოირჩევიან.**

ამჯერად პარი სენჟერმენის უნიჭიერეს, მაგრამ არაკაც წევრ ბრედლი ბარკოლას ვგულისხმობთ, რომელმაც ცარიელი კარის წინ უმეთვალყურეოდ გახსნილ **ხვიჩა კვარაცხელიას** ბურთი არ აღირსა და ბილბაოში პარტნიორებს ქულები დააკარგვინა – 0:0.

ჩემპიონთა ლიგის მე-6 ტურში სხვა ქართველ ლეგიონერთაგან **გიორგი ზარიამ** და **გიორგი მიქაუტაძემ** პირველ ტაიმებში იბურთავეს უშედეგოდ, მათი კლუბები კი დამარცხდნენ, ხოლო **გიორგი მამარდაშვილი** და **გიორგი ქოჩორაშვილი** ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ. სხვათა შორის, ლივერპულმა სამწვრთნელო კრიზისის ფონზე მილანში ინტერს სძლია – 1:0, სპორტინგი კი მიუნხენში ბაიერნთან 1:3 დამარცხდა.

**ლიდერთა ჯგუფი:** არსენალი – 18, ბაიერნი – 15, პსჟ, სიტი, ატალანტა – 13, ინტერი, რეალი, ატლეტიკო, ლივერპული – 12, დორტმუნდი, ტოტენჰემი – 11, ნიუკასლი, ჩელსი, სპორტინგი, ბარსელონა – 10 ქულა.

* * *

**ჩვენი ფეხბურთის გადამკიდე, რაღამ უნდა გაგვაკვირვოს, მაგრამ მაშინ, როცა მომავალი თაობის შოკისმომგვრელ მარცხზე ვსაუბრობთ, გულისტკივილი ასმაგდება.**

კერძოდ, **დავით გელაშვილის** გაწვრთნილ თბილისის დინამოს უეფას ახალგაზრდული ლიგის პლეიოფის ფინალში გასასვლელი შანსი განგებამ, რომ იტყვიან, ხონჩით მიართვა, მაგრამ...

უკვე გაუწყეთ, რომ ბელარუსთა სანქციირების გამო მინსკის დინამოს თანატოლებთან ორივე მატჩი თბილისში დაინიშნა და პირველ რაუნდში 2:0 გამარჯვების შემდეგ მასპინძლები უკვე მილოცვებსაც იღებდნენ, თუმცა იმდენი მოახერხეს, რომ საპასუხო ბრძოლა ასეთივე ანგარიშით დათმეს და კაპიტულაცია საბოლოოდ პენალტების სერიაში გაიფორმეს – 2:4.

საწუხარ არს ესე!

# 140 წლის „ქონოთთან“ — გალვეიში

CONNACHT RUGBY

**„შავი ლომი“ მიმდინარე კვირაში ირლანდიაში გაემგზავრა და 2025/26 წლების ჩელენჯ თასის მეორე ტურში გალვეიში ადგილობრივ „ქონოთს“ შეერკინება. „დექსქომ სთედიუმზე“ თამაში საქართველოს დროით 14 დეკემბერს, 00:00 საათზე დაიწყება.**

ირლანდიის რაგბის კავშირის ქონოთის განყოფილება და მასთან ერთად პროვინციული გუნდი 140 წლის წინ, 1885 წლის 8 დეკემბერს დაფუძნდა. ქონოთის რეგიონი ადგილობრივ გუნდებს აერთიანებდა (ამჟამად 25 კაცთა კლუბი), პერიოდულად კი პროვინციის ნაკრები იკრიბებოდა და ლენსთერის, მანსთერისა და ოლსთერის პროვინციულ გუნდებს, ან ირლანდიაში სტუმრად ჩასულ უცხოურ გუნდებს ეთამაშებოდა.

1995 წელს, რაგბის პროფესიულ რელსებზე გადასვლის შემდეგ, „ლენსთერი“, „მანსთერი“, „ოლსთერი“ და „ქონოთი“ პროფესიული ფრენჩაიზები გახდნენ. 1996 წელს „ქონოთი“ ჩელენჯ თასის გათამაშებაში ჩაერთო, 2001 წელს კი კელტების ლიგა დაარსდა, რომელშიც ირლანდიური, შოტლანდიური და უელსური პროფესიული გუნდები ჩაერთვნენ და მოგვიანებით ჩემპიონატმა ტრანსფორმაცია განიცადა. მასში იტალიური გუნდებიც ჩაერთვნენ და ჯერ პრო 12-ად, ხოლო მოგვიანებით პრო 14-ად გადაკეთდა. 2021 წლიდან ტურნირს გაერთიანებული რაგბის ჩემპიონატი ეწოდება.

„ქონოთმა“ საუკეთესო სეზონი 2015/16 წლებში ჩაატარა, ფინალში „ლენსთერი“ დაამარცხა და ჩემპიონის ტიტული (პრო 12-ის) ჯერჯერობით ერთადერთხელ მოიპოვა.

2021 წლიდან „ქონოთის“ საქმეები უკან წავიდა. გასული სეზონის გაერთიანებული რაგბის ჩემპიონატი გუნდმა მე-13-ე ადგილზე დაასრულა, მიმდინარე გათამაშებაში კი 5 თამაშიდან ორი მოგებითა და 14 ქულით მე-9 პოზიციაზეა. აღსანიშნავია, რომ „ქონოთმა“ წელს ორივე თამაში ბონუსით მოიგო, სამივე წაგებულ შეხვედრაში კი მცირე სხვაობისთვის ნუგეშ-ქულა მიიღო.

ჩელენჯ თასის პირველ ტურში, 7 დეკემბერს, ირლანდიელები უელსში „ოსფრეიზთან“ 21:24 დამარცხდნენ და აქაც შეძლეს ნუგეშ-ქულის მოპოვება.

„ქონოთი“ საშინაო შეხვედრებს „დექსქომ სთედიუმზე“ მართავს, რომელიც 1928 წელს გაიხსნა და 8 ათას მაყურებელს იტევს.

# მარად და ყველგან...




**დედაქალაქის** მე-60 საჯარო სკოლა გამორჩეულია როგორც აკადემიური მოსწრებით, ისე ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებითა და სპორტის, კონკრეტულად კი მინი-ფეხბურთის ტურნირების სისტემატურად ჩატარებით, რაც ხელს (უფრო სწორად – ფეხს) უწყობს ყველაზე გავრცელებული სახეობის პოპულარიზაციას, ყოველივე ეს კი დირექციის (**შოთა მალაზონია**), მთავარი მსაჯის – ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის **ვახტანგ ბაქანიძის**, ვიცე-მსაჯის – გოგონათა გუნდის კაპიტნის **ლიზი ოქიტაშვილის**, საინფორმაციო მენეჯერის – **თამარ ანდრიაძისა** და პედიატრების – **შორენა ძანძავასა და ნანა გაბისკირიას** დამსახურება გახლავთ.

განსაკუთრებულია აგრეთვე აქაურთა მიერ საკუთარ სახელოვან კურსდამთავრებულთა გახსენების სამაგალითო ტრადიცია, ეს კი, დაგვეთანხმებით, თავისთავად გულისხმობს როგორც სამწუხაროდ, უკვე მარადისობაში გადანაცვლებულთა ნათელ ხსოვნას, ისე ცოცხალთა ღვაწლის დაფასებას.

## ფირუზ კანთელაძის მემორიალი

**პრიზიორები:** მე-9გ კლასი (დამრიგებელი **ლია ქავთარაძე**), მე-8გ კლასი (დამრიგებელი **ნინო გაბეხაძე**), მე-8ბ კლასი (დამრიგებელი **მარიამ მამფორია**).

**გოლების ავტორები ფინალურ მატჩში: საბა ოქიტაშვილი** (4 ბურთი), **ლუკა ღლონტი, გიორგი ფოფხაძე** (3-3 ბურთი), **ნიკოლოზ სააკაძე** (2 ბურთი) **დემეტრე ხუხუნაშვილი** (1 ბურთი).

დავძენთ, რომ საამაყო დინამოელის ხსოვნის ტურნირის თამაშებს ესწრებოდნენ ძვირფასი მეგობრის თანაგუნდელები და თანაკლასელები – **თენგიზ წურწუმია და ბორის სორდია.**

## ლადო ბურდულის სახელობის ტურნირი

**ჩემპიონი:** მე-8ბ კლასი (დამრიგებელი **რამაზ არბოლიშვილი**). **ფინალისტი:** მე-8გ კლასი (დამრიგებელი **ნანა გიგაური**).

სიმბოლურია, რომ გამორჩეული მონაწილეები თვით ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა და ამჟამად ტყიბულის მეშახტის მთავარმა მწვრთნელმა დააჯილდოვა, რომელიც შეხვედრებს ოჯახთან ერთად ესწრებოდა:

საუკეთესო მოთამაშე – **ვასიკო გიორგაძე.**

ყველაზე ტექნიკური მოთამაშე – **ცოტნე ნოზაძე.**




ბომბარდირი – **ნიკოლოზ ბუცხრიკიძე.**

თავდამსხმელი – **ლუკა ნოზაძე.**

მცველი – **გიორგი ჯოჯუა.**

მეკარეები – **დავით წიკლაური** და **გიორგი გოგინაშვილი.**

# ფარხთან ახლოს

**ნბა-ში მორიგი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა და მისი ავტორი ისევ „მეფე“ ლებრონ ჯეიმსი გახლავთ, რომელმაც მოგებული შეხვედრების რაოდენობით რობერტ პერიშს გადაასწრო და რეგულარული სეზონების განმავლობაში მოპოვებული გამარჯვებების რაოდენობით მე-2 ადგილზე გადაინაცვლა.**

**ფილადელფია – ლეიკერსი**
**108:112.**

**ყველაზე შედეგიანები: დონჩიჩი** – 31 ქულა, 15 მოხსნა, 11 ასისტი (სამმაგი დუბლი), **ჯეიმსი** – 29 ქულა, 7 მოხსნა, 6 ასისტი.

რაც შეეხება ტოპ-ათეულს, იგი ასეთი გახლავთ: **ქარიმ აბდულ ჯაბარი – 1074, ლებრონ ჯეიმსი – 1015, რობერტ პერიში – 1014, ტიმ დანკანი – 1001, ჯონ სტოქტონი – 953, კარლ მელოუნი – 952, დირკ ნოვიცკი – 916, ტონი პარკერი – 892, კრის პოლი – 855, დერეკ ფიშერი – 853 მოგება.**

ალბათ, იკითხავთ – რამდენად რეალურია კალიფორნიელთა ლიდერის დაწინაურება ფრიად საპატიო ნომინაციაში. თუ გავითვალისწინებთ მის პროფესიონალიზმსა და მოტივაციას, სავსებით შესაძლებელია. თანაც, ის ხომ „მეფეა“!




# სიხარულის ცრემლით



**უკვე გაუწყეთ, რომ 26 წლის ინგლისელი პილოტი ლანდო ნორისი ფორმულა – 1-ის 76-წლიან ისტორიაში 35-ე ჩემპიონი გახდა და პირველი კარიერული ტიტულის მოსაპოვებლად, მაქს ფერსტაპენისა და კიმი რაიკონენის მსგავსად, 7 სეზონი დასჭირდა.**

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 1998 წლის შემდეგ მაკლარენმა პირველად მოიგო როგორც პირადი, ისე გუნდური ჩათვლა. ახლა კი ტრიუმფატორს მოვუსმინოთ:

**„ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რაც ახლა ჩემს თავს ხდება. ყველა მრბოლელის მსგავსად, ამაზე ბოლო 16-17 წლის განმავლობაში ვოცნებობდი. არ მეგონა, თუ სიხარულით ავტირდებოდი, რადგან დიდი ხანია ცრემლი არ წამომსვლია, მაგრამ ამჯერად ემოციებს ვერ ვთოკავ. მთავარი კონკურენტებისგან ბევრი რამ ვისწავლე და ვნანობ და მრცხვენია იმ სისულელეების გამო, რაც მათზე მითქვამს. და ბოლოს: მადლობა ოჯახსა და ახლობლებს აბუ დაბიში ჩამოსვლისთვის“.**

## ოთარ ზუხბაიას გახსენება

# „მე საქართველოს მხარეს ვარ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს აფხაზეთი“!..



### ...მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ რჩეულნი... (მ.თ 22)

**საქართველოს ძირძველმა, განუყოფელმა ნაწილმა, აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ მრავალი ღირსეული, ერთგულებით გულანთებული, თავდადებული მამულიშვილი მოუვლინა საქართველოს.**

**სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება მრავალსაუკუნოვანი ისტორიის აფხაზეთის გამორჩეული შვილი ოთარ ზუხბაია, რომელსაც საპატიო ადგილი უკავია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სხვადასხვა პერიოდის ურთულეს ეპოქალურ მოვლენებთან დაკავშირებულ მამულიშვილთა საპატიო გალერეაში.**

ოთარ ზუხბაიას მიმდინარე წლის 7 სექტემბერს 85 წელი შეუსრულდებოდა. ხანმოკლე, 55-წლიანი სიცოცხლის მანძილზე მან თავისი ცხოვრების წესით და ადამიანებთან ურთიერთობების სტილით, მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციით, საქმისადმი დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით, ქვეყნის ინტერესების დაცვის და სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარით დაჯილდოებულმა დაგვიტოვა ქვეყნისადმი ერთგულების, ჭეშმარიტი პატრიოტის, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ჩვენი კუთხის საუკეთესო ადათ-წესების და ტრადიციების ქომაგის, ლიდერის თვისებების მატარებელი კაცის მისაბაძი მაგალითი.

1963 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სტუ) ინჟინერ- მშენებლის სპეციალობით დამთავრების შემდეგ ოთარ ზუხბაიამ მუშაობა დაიწყო საქქალაქმშენპროექტში სხვადასხვა თანამდებობებზე. ნიჭიერი, ახალგაზრდა სპეციალისტი მალევე მოხვდა ქვეყნის მმართველთა თვალსაწიერში და ის გადაიყვანეს საქართველოს ხელისუფლების ცენტრალურ სტრუქტურებში თავისი სპეციალობის მიხედვით, შემდეგ ის დაუბრუნდა აფხაზეთს და ეს მისი პირველი ნაბიჯი მშობლიური გალიდან დაიწყო – 1978-80 წლებში იყო გალის რაიონის მმართველი რგოლის ხელმძღვანელი. 1980 წლიდან აირჩიეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველი რგოლის ხელმძღვანელის პირველ მოადგილედ (1980-1985 წლებში იყო მდივანი, 1985-1987 წლებში – II მდივანი). 1987-1989 წლებში ოთარ ზუხბაია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა.

1989-1991 წლებში ის საქართველოს მინისტრთა საბჭოს საგანგებო სიტუაციების განყოფილების გამგედ მუშაობდა.

1991-1995 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე საერთო საკითხებში.

1992-1995 წლებში ის გახლდათ საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი.

ყველგან, სადაც კი იღვაწა, ოთარ ზუხბაიამ დატოვა თავისი ნათელი კვალი, როგორც მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწემ, ნიჭიერმა ორგანიზატორმა, პოლიტიკურმა ლიდერმა, საზოგადოებაში არსებული სიტუაციების ობიექტურმა შემფასებელმა და სახელმწიფო ინტერესების გულმხურვალე დამცველმა.

ოთარ ზუხბაიას მოღვაწეობა აფხაზეთში უმაღლესი რანგის თანამდებობებზე უმეტესად ემთხვევა აფხაზეთში გარე ძალების მიერ მოწყობილი ეთნოდივერსიებით გამოწვეულ დამძიმებულ პოლიტიკურ ვითარებას.

მას დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთში სეპარატისტული ტენდენციების განეიტრალებაში, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირებასა და სტაბილურობის შენარჩუნებაში. თავისი თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე, მას ჰქონდა სიღრმისეული წვდომა საზოგადოებაში მიმდინარე დაპირისპირებაზე და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქვეყნისთვის აეცილებინა ის ტრაგედია, რომლის გარდაუვალობას გრძნობდა და ღიად, საჯაროდ მიუთითებდა აფხაზურ მხარეს იმ შეცდომებზე, რომელიც პროვოცირებული იყო მავანთა მხრიდან. ამის ნათელი მაგალითია მისი სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში მრავალათასიანი აფხაზური მოსახლეობის მიტინგზე, როდესაც არ მოაწერა ხელი აფხაზური მხარის წერილს, შემდეგი სიტყვებით: ,,მე საქართველოს მხარეზე ვარ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს აფხაზეთი“.

მისი ეს სიტყვები იყო დასტური სამშობლოს გულმხურვალე სიყვარულისა, რომლითაც მთელი ცხოვრების მანძილზე პირნათლად, უშიშრად ემსახურა მას როგორც ჭეშმარიტმა პატრიოტმა, რომელსაც რისკის ქვეშ ხშირად დაუყენებია როგორც თავისი პოლიტიკური კარიერა, ასევე სიცოცხლეც კი. მას არასდროს დაუხევია უკან ქვეყნის ინტერესების დასაცავად, ბოლომდე დარჩა თავისი პრინციპის – ერთიანი, განუყოფელი საქართველოს ერთგული.

ოთარ ზუხბაიას დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ჩვენი დევნილი თანამემამულეების ურთულესი სოციალური პრობლემების მოწესრიგებაში. საქართველოს მთავრობასთან ერთად, ის იყო ერთ-ერთი ინიციატორთაგანი აფხაზეთიდან დევნილი სამთავრობო სტრუქტურების დღეს არსებული ფორმით ჩამოყალიბებისა, საკადრო პოტენციალისა და სპეციალისტების შენარჩუნებისა.

ოთარ ზუხბაია აფხაზეთიდან დევნილ საზოგადოებაში ასოცირდება როგორც საქართველოს ძირძველი, განუყოფელი მხარის – აფხაზეთის ღირსეული, ღვაწლმოსილი, ქვეყნის ინტერესების გულმხურვალე დამცველი, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ჭეშმარიტი პატრიოტი, ნიჭიერი ორგანიზატორი და პოლიტიკოსი.

**მეგობრები**

---



უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი, სამეგობროში გამორჩეული პიროვნება, უბრალოდ – კარგი ზუგდიდელი, კარგი მოქალაქე, კარგი ქართველი

## კახა გერმანეს ძე არდია

და გულისტკივილით უსამძიმრებენ ოჯახს, ახლობლებსა და სანათესაოს.

პანაშვიდი 12, 13 XII, მისამართი: თბილისი, ზ. ბოლქვაძის 3. გამოსვენება: 14 XII, 14 სთ. წმ. თამარ მეფის ტაძრიდან (დოლიძის ქუჩა).

---

## რომში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს!



**რომში სამართალდამცველებმა ორი ქართველი მოქალაქე დააკავეს საცხოვრებელ სახლში შეღწევის მცდელობის ბრალდებით.**

ადგილობრივი მედიის ცნობით, 35 და 42 წლის მამაკაცები მაშინ აიყვანეს, როცა ბინის კარის გატეხვას ცდილობდნენ. შემთხვევა ღამის საათებში, ვია პიენცაზე მოხდა. ჩხრეკისას პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო ორი დიდი ზომის სახრახნი, რომლითაც ისინი, სავარაუდოდ, ბინის კარის გატეხვას ცდილობდნენ. ორივე პირი ქურდობის მცდელობის ბრალდებით დააპატიმრეს.

---

## SIC! ბევრგან უვარგისი ხორცი იყიდება!

### სურსათის სააგენტო მოსახლეობას აფრთხილებს!

**სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის დეპარტამენტის ინსპექტორებმა შინდისში, მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევში არალეგალური სასაკლაო გამოავლინეს. ფიზიკური პირის კუთვნილი ობიექტი ფუნქციონირებდა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციისა და აღიარების გარეშე; არაგეგმური ინსპექტირებისას გამოვლინდა ასევე ეტიკეტირებისა და მიკვლევადობის წესის დარღვევა; 200 კგ საქონლის ხორცი ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე, რომელიც დაილუქა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდება. ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა და შეუჩერდა საქმიანობა რეგისტრაციამდე, აღიარებამდე და კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე.**

კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა ასევე ზესტაფონში, რუსთაველის 86-ში და ვანში, თავისუფლების 4-ში მდებარე არალეგალურ სასაკლაოებში. სააგენტოს იმერეთის დეპარტამენტის ინსპექტორების მიერ ჩატარებული არაგეგმური ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა საეჭვო წარმომავლობის ხორცი, რის გამოც ობიექტები დაჯარიმდნენ და შეუჩერდათ საწარმოო პროცესი.



სურსათის ეროვნული სააგენტო ცხოველთა სასაკლაოებში სახელმწიფო კონტროლს მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს. გეგმური ინსპექტირება ტარდება რისკის დონის განსაზღვრის გარეშე, წელიწადში ოთხჯერ; გარდა ამისა, ტარდება არაგეგმური ინსპექტირებაც. მიმდინარე წელს ჩატარებულია 1035 სახელმწიფო კონტროლი, გამოვლინდა 80 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

---

## კიბოს მატარებელ კაცს, რომელიც სპერმის დონორია, ასეულობით შვილი ჰყავს

**ევროპის მაუწყებლობის კავშირის (EBU) მიერ ჩატარებული მასშტაბური ჟურნალისტური გამოძიებით ირკვევა, რომ სპერმის ერთ-ერთ დონორს, რომელიც უნებლიეთ კიბოს გამომწვევი იშვიათი გენეტიკური მუტაციის მატარებელი იყო, მთელი ევროპის მასშტაბით თითქმის 200 შვილი ჰყავს.**

ბავშვებს, რომლებიც ამ მუტაციას მემკვიდრეობით იღებენ, უვითარდებათ „ლი ფრაუმენის სინდრომი“ – დაავადება, რომელიც მათი სიცოცხლის განმავლობაში კიბოს განვითარების რისკს 90%-მდე ზრდის. „ევრონიუსის“ ინფორმაციით, დონორის მიერ ჩასახული ზოგიერთი ბავშვი უკვე გარდაიცვალა. რაც შეეხება დანარჩენებს, მათ უმრავლესობას სიცოცხლის განმავლობაში კიბო განუვითარდება. გამოძიებაში 14 ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებელი მონაწილეობდა. მათი ინფორმაციით, დონორის გენეტიკური მუტაცია დაკავშირებულია ონკოლოგიური დაავადებების განვითარების მომატებულ რისკთან.

როგორც უცხოური მედია აღნიშნავს, შემთხვევა კიდევ ერთხელ აყენებს კითხვებს სპერმის დონაციის რეგულირების, გენეტიკური სკრინინგისა და დონორთა რაოდენობრივ შეზღუდვებთან დაკავშირებით. დანიის ევროპულმა სპერმის ბანკმა (ESB), რომელმაც ნიმუშები მიაწოდა, აღიარა, რომ სპერმა ძალიან ბევრჯერ იქნა გამოყენებული. ბანკმა განაცხადა, რომ მუტაცია სკრინინგის დროს ვერ გამოვლინდა და რომ პრობლემის გამოვლენისთანავე დონორი **„მყისიერად დაიბლოკა“**.

EBU-ს მონაცემებით, დონორი სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ კლინიკებს ერთდროულად ამარაგებდა, რის გამოც მისი ბიოლოგიური შვილების ზუსტი რაოდენობის კონტროლი ვერ განხორციელდება. ზოგიერთ ქვეყანაში უკვე დაიწყო შესაბამისი სამედიცინო და სამართლებრივი პროცედურები. ჯანდაცვის უწყებები და ბიოეთიკის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ შემთხვევამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ევროკავშირის დონეზე რეგულაციების გამკაცრებას, მათ შორის, დონორთა მაქსიმალური რაოდენობის მკაცრ განსაზღვრასა და გენეტიკური ტესტირების სავალდებულო გაფართოებას.

# ქართული ხორბალი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანეს!

**ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ხაზგასმა ხდება იმ მემკვიდრეობის, რომელიც ჩვენ გვაქვს,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** UNESCO-ს გადაწყვეტილების კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმად, **„ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შევიდა.**



მთავრობის მეთაურის შეფასებით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ირაკლი კობახიძემ პროცესში ჩართულ ყველა უწყებას მადლობა გადაუხადა.

**„განსაკუთრებული მადლობა კულტურის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. რამდენიმე უწყება იყო ჩართული. მადლობა ყველას, ვინც უზრუნველყო, საბოლოო ჯამში, ამ გადაწყვეტილების მიღება. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ხაზგასმა ხდება იმ მემკვიდრეობის, რომელიც ჩვენ გვაქვს“,** – აღნიშნა **ირაკლი კობახიძემ.**

## გამოვლინდნენ „წინანდლის პრემიის“ ლაურეატები




**„წინანდლის პრემიის“ორგანიზატორების ინფორმაციით, 2025 წლის „წინანდლის პრემია“ მიენიჭათ:**

თეატრალურ ხელოვნებაში – **ანასტასია ჭანტურაიას;**

კინოხელოვნებაში – **დეა ყოლოკავას;**

პროზაში – **თაკო წულაიას;**

პოეზიაში – **ლარა შუკვანს;**

მუსიკალურ ხელოვნებაში – **დავით ხრიკულს;**

სახვით ხელოვნებაში – **ქეთ მეფარიშვილს;**

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში – **გიორგი ჭკადუას;**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში – **თინათინ ბარათაშვილს.**

„წინანდლის პრემია 2025“ განხორციელდა ზურაბ ჟვანიას ფონდის ორგანიზებით.

## „პინოკიოს“ პრემიერა მარჯანიშვილის თეატრში

**19-20 დეკემბერს მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე კარლო კოლოდის ზღაპრის მიხედვით „პინოკიოს“ პრემიერა გაიმართება.**

თეატრის ინფორმაციით, სპექტაკლის რეჟისორი და ინსცენირების ავტორია: **ნიკა ლუარსაბიშვილი;** სცენოგრაფი და კოსტიუმების მხატვარი **– ნინო კიტია;** მუსიკალური გაფორმება – **ლევან გვაზავა;** ქორეოგრაფი – **გია მარღანია;** რეჟისორის ასისტენტი – **ნინო ჟორჟოლიანი.**



მონაწილეობენ – **ნიკა ჭკადუა, ბესო ბარათაშვილი, ნოდარ დოღონაძე, ანა ჯავახიშვილი, დავით ხურცილავა, ჯეჯი სხირტლაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, შაკო მირიანაშვილი, გიორგი სირბილაძე, თემო ვაჭარაძე, ბაჩი ბეგიაშვილი, ნინუცა ცაგარეიშვილი, ლუკა ხეცურიანი.**



**ჯალის წმინდა გიორგის ეკლესია – ცნობილი როგორც აბაშიძეების ეკლესია, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლია იმერეთში, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაში. 1510 წლით დათარიღებული ერთნავიანი ბაზილიკის უნიკალური ფრესკები ნადგურდება:**

**„მალე შეწყვეტს ჯალის აბაშიძეების ეკლესიის ფრესკები არსებობას. გაქრება ფრესკები, სადაც გამოსახულია XVI საუკუნის საერო პირები, თავიანთი საერო სამოსებით. მსგავსი ფრესკებით ქართველები განებივრებულები ნამდვილად არ ვართ. ეს ტაძარი ჩვენი საზღვრების მიღმა რომ იყოს,**

## სოფელ ჯალის აბაშიძეების ეკლესია ნადგურდება!

**ბევრი იგლოვებდა დღეს, მაგრამ რადგან აქვეა და საქართველოშია, მის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა თუ იცის.**

**საერო პირის ეს ფრესკა მალე განადგურდება და ორიგინალში ვეღარ ვიხილავთ XVI საუკუნის ეპოქის ქართველთა ჩაცმულობის უნიკალურ ნიმუშებს. დაზიანება სხვა ფრესკებს უფრო დიდი აქვთ. ნალესობა დაშორებულია კედლებს და დანესტილია.**



## „გია ყანჩელის მემკვიდრეობა საუკუნის კულტურის კონტექსტში“

**12 დეკემბერს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი მასპინძლობს გია ყანჩელის დაბადებიდან 90 წლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას – „გია ყანჩელის მემკვიდრეობა XX საუკუნის კულტურის კონტექსტში“.**



# ავთანდილ მახარაძე „საპატიო პრომეთეს“ მფლობელია!

**თეატრისა და კინოს ცნობილ მსახიობს ავთანდილ მახარაძეს დამსახურებული ჯილდო „საპატიო პრომეთე“ გადაეცა. ჯილდო ხელოვანს თბილისის 26-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალური დახურვის დღეს მიენიჭა.**

ავთანდილ მახარაძე დაჯილდოვდა ქართულ კინოში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. პრიზის გადაცემა მსახიობისთვის შარშან იყო დაგეგმილი, მაგრამ ფესტივალის ნაწილობრივ გაუქმების გამო დაჯილდოება გასულ წელს არ შედგა.

**„საპატიო პრომეთეს“ გადაცემამდე დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას უჩვენეს შალვა შენგელის და ირინე ჯავახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სავსე სიცარიელე“ ავთანდილ მახარაძის მონაწილეობით.**



**გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული მსახიობმა მრავალი დაუვიწყარი სახე შექმნა მხატვრულ ფილმებში, მუშაობდა ცნობილ რეჟისორებთან: მერაბ კოკოჩაშვილთან, ქართლოს ხოტივართან, საშა რეხვიაშვილთან, რეზო ჩხეიძესთან, მიხეილ კალატოზიშვილთან.**

**ხელოვანის სამსახიობო კარიერის მწვერვალია ვარლამ და აბელ არავიძეების როლები თენგიზ აბულაძის „მონანიებაში“. 1987 წელს მას მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.**

ავთანდილ მახარაძის მიერ შესრულებული როლები რუსთაველის თეატრის სცენაზე ყოველთვის განსაკუთრებულად შთამბეჭდავი იყო, ისევე როგორც მისი მოღვაწეობა სატელევიზიო თეატრში, სადაც მან ითამაშა თემურ ჩხეიძის გახმაურებულ სპექტაკლში „ჭაყოს ხიზნები“.

**მსახიობს ფილმებში გადასაღებად ახალგაზრდა რეჟისორებიც იწვევენ. ბოლო წლებში მან ითამაშა ზაზა რუსაძის და რევაზ გიგინეიშვილის ფილმებში, ასევე, ანა ურუშაძის ფილმში „საშიში დედა“, რომელიც 2017 წელს თბილისის კინოფესტივალის ოქროს პრომეთეს მფლობელი გახდა.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 15 დეკემბერს